ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 28 დეკემბერი, 2012 №309 (5999) ფასი: 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ.4



## სოსო ცისკარიშვილი: „ნაციონალებს სიტუაციის შეფასების უნარი არ აღმოაჩნდათ“

# სააკაშვილი ამნისტიის შესახებ კანონს ვეტოს დაადებს

გვ. 2

ვეტოს დასაძლევად პარლამენტს 89 ხმა სჭირდება



## დენი ნაგავს აღარ დაწვავს!



გვ.3

დენზე ნაგვის მიბმა კანონით აიკრძალება



## კოტე კუბლაშვილი: „კბილაშვილი ექვეებისგან გათავისუფლდეს!“

გვ. 2



გვ.4

## ზურაბ აბაშიძე პუტინის წარმომადგენელს შეხვდება



გვ.3

## როლანდ ახალაიას შესაძლოა დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნან

## იური ვაზაგაშვილი: „მოვუწოდებ შსს-ს, დამნაშავე თანამშრომლებისგან გათავისუფლდეს“

გვ.6





გვ.5

## გიორგი ისაკაძე გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს

20 დეკემბრიდან!

„ახალი თაობა“

\+

გალილეო გალილეი

8 ლარი




3 ქუთაისელები პარლამენტს ვერ ელევიან

რა დაამავა ხაშურმა, თელავმა და დუშეთმა

2 „ქართული ოცნების“ აქტივისტები ლაგოდეხში ახალი გამგებლის დანიშვნას აპროტესტებენ

7 რა ღირს ქოთანი შროშაში

5 თენგიზ ღიხამინჯია: „სააკაშვილი პოლიტიკურ კრიზისს ვერ გამოიწვევს“

2012, 28 დეკემბერი, №309

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოტე კუბლაშვილი: „კბილაშვილი ეჭვებისგან გათავისუფლდეს!“

ნათია ხურცილავა

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა 2012 წელი შეაჯამა. როგორც კუბლაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიმდინარე წლის ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში აშკარა იყო პოლიტიკური თავდასხმები სასამართლო სისტემაზე, თუმცა იყო ადეკვატური პასუხი და ყველამ გაიგო, რომ ასეთი თავდასხმები სასამართლოს დამოუკიდებლობას ვერაფერს დააკლებს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა აღნიშნა, რომ მოსამართლეებმა თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს იმ გადაწყვეტილებებით, რომლებსაც პროცესებზე იღებდნენ. განსაკუთრებული მადლობა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს გადაუხადა.

– ყველაზე დიდი დარტყმა სწორედ საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებზე წამოვიდა, თუმცა მათ გააგრძელეს ობიექტურად მუშაობა. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელსაც ასევე გააგრძელებენ. მოსამართლეებმა გააკეთეს ის, რომ 2005 წლის და დღევანდელი სასამართლო ცასა და დედამიწასავით განსხვავდება ერთმანეთისგან, – განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესის სასამართლოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებს შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე განუცხადა, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში დასრულდა სასამართლო სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაცია. ასევე კუბლაშვილის განცხადებით, დასრულდა სასამართლო დარბაზების ელექტრონული სისტემით აღჭურვა და შესაძლებელი გახდა აუდიოჩაწერა. კოტე კუბლაშვილის განცხადებით, სასამართლო პროცესების 95%-ის აუდიოჩაწერა ხდება და მხარეებს აუდიოჩანაწერები გადაე-



ცემა, რაც ხელს უწყობს საქმის სწრაფ განხილვას.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებს მომავალი წლის გეგმებიც გააცნო. როგორც მან აღნიშნა, 2013 წელს იგეგმება, რომ პარლამენტს სასამართლომ შესთავაზოს კონსტიტუციაში ცვლილების პროექტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებებთან დაკავშირებით.

– დაუშვებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებების შეზღუდვა, უფლებამოსილება არ უნდა შეიცვალოს კონკრეტული ხელისუფლების ნება-სურვილით. ჩვენ შევეცდებით, ამასთან დაკავშირებით იყოს მყარი გარანტი, რაც ხელს შეუწყობს სასამართლოს დამოუკიდებლობას, – განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თქმით, 2013 წელსვე იგეგმება საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის პარლამენტისთვის გადაცემა, რითაც უზენაესი სასამართლო დააფიქსირებს საკუთარ პოზიციას მოსამართლეთა უვადო დანიშვნის შესახებ. კუბლაშვილის განცხადებით, ეს ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას.

ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ მომავალი წლის მარტში ან აპრილში ამოქმედდება ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც ელექტრონული სარჩელების გადაგზავნის პრაქტიკა დამკვიდრდება.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა მოსამართლეებს ბოლო დროს გახმაურებულ დაკავებებთან დაკავშირებით მიღებული ობიექტური გადაწყვეტილებების გამო მადლობაც გადაუხადა.

კუბლაშვილის თქმით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამთავრდა სასამართლოს ინსტიტუციური რეორგანიზაცია, ჩამოყალიბდა 24 დიდი საქალაქო და რაიონული სასამართლო.

– მე მინდა, მადლობა გადავუხადო საქალაქო სასამართლოს ყველა მოსამართლეს იმის გამო, რომ, ბოლო დროს განხორციელებული ზეწოლის მიუხედავად, ისინი ობიექტურ გადაწყვეტილებას იღებენ და სასამართლოზე განხორციელებულ თავდასხმებზე თავიანთ აზრს მიღებული გადაწყვეტილებებით აფიქსირებენ. სწორედ მოსამართლეებმა თავიანთი ობიექტური გადაწყვეტილებებით უნდა შექმნან ისეთი სასამართლო, რომელიც ყველას მხრიდან აღიარებული იქნება, როგორც დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლო, – განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ასევე გამოეხმაურა ვენეციის კომისიაში იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიერ გადაგზავნილ კანონპროექტს.

კოტე კუბლაშვილი იმედოვნებს, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილება ვენეციის კომისიის ექსპერტების რჩევების შემდეგ შევა ძალაში.

ამის შესახებ კუბლაშვილმა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადების კომენტირებისას განაცხადა. იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მისაღებად ბერძნულ კალანდობას ვერ დაელოდება.

– რაც შეეხება საერთო სასამართლოების შესახებ კანონს, პროექტი, რომელიც პარლამენტის მიერ არის ინიცირებული, სასამართლოს უფლებებში აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარევას გამოიწვევს. მე მიმაჩნია, რომ პარლამენტი კანონის მიღებამდე ვენეციის კომისიის დასკვნას უნდა დაელოდოს. ჩემი ინფორმაციით, იანვრის ბოლოს ან თებერვლის დასაწყისში საქართველოს ვენეციის კომისიის ექსპერტები ეწვევიან, შეხვდებიან კანონზე მომუშავე ყველა მხარეს და შესაბამის რეკომენდაციასაც მოგვცემენ. ვფიქრობ, ვენეციის კომისია ჩვენს შეხედულებებსა და შენიშვნებს გაითვალისწინებს, – განაცხადა კუბლაშვილმა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ მთავარი პროკურორის განცხადებას გამოეხმაურა. კუბლაშვილი მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს მოუწოდებს, ეჭვებისგან გათავისუფლდეს.

ამის შესახებ კუბლაშვილმა არჩილ კბილაშვილის იმ ინიციატივის კომენტირებისას განაცხადა, რომლის მიხედვითაც ბოლო დროს დაკავებული მაღალჩინოსნების საქმე შესაძლოა ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ.

– ეს არის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების კომპეტენცია, რადგან ამისთვის საჭირო იქნება კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა. ეს ყველაფერი სასამართლოს დამოუკიდებლობაზე პირდაპირ არ აისახება, თუმცა ცვლილების შეტანის შემთხვევაში უნდა მოხდეს კონკრეტული მუხლების გაწერა და არა რომელიმე სახელსა და გვარზე ამ კანონის მორგება. მე მოვუწოდებ პროკურორსა და გამომძიებლებს, ეჭვებს თავი დაანებონ, ეჭვი ცუდი მრჩეველია და რეალურად შეხედონ იმას, რაც ხდება, – განაცხადა კოტე კუბლაშვილმა.

# სააკაშვილი პარლამენტის მიღებულ კანონს ვეტოს დაადებს

## ვეტოს დასაძლევად პარლამენტს 89 ხმა სჭირდება

შორენა მარსაგიშვილი

ისედაც სასიკვდილო სარეცელზე მყოფ კოჰაბიტაციას საქართველოს პრეზიდენტმა მორიგი დარტყმა მიაყენა. პრეზიდენტი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ვეტოს დადებას უპირებს.

საკანონმდებლო ორგა-



ნოს ვეტოს დადებით სააკაშვილი გასულ კვირას დაემუქრა. მას ვეტო სასამართლოებთან დაკავშირებული კანონისთვის უნდა დაედო. ამან მეოცნებეები შიშით არ შეხვედრიან. როგორც ამბობენ, მათ ვეტოს დასაძლევად რესურსი გააჩნიათ.

ვეტოს დასადებად სააკაშვილმა სხვა კანონიც გაიმეტა. რომელსაც უმრავლესობამ ლამის ღამეები უთია. საუბარია ამნისტიის შესახებ კანონზე. ეს კანონი თავიდანვე არ მოეწონა მიხეილ სააკაშვილს. ის და მისი ნაცმოძი პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილების ამბავმაც გადარია. პრეზიდენტის განმარტებით, ასეთი გადაწყვეტილებები ქვეყნის იმიჯზე და უსაფრთხოებაზე ცუდად იმოქმედებს.

– როცა ასეთი ბევრი გამოდის, ეს საფრთხის შემცველია. მათ შორის მეც მოვაწერე ხელი ბევრის გათავისუფლებას, რადგან სია წარმომიდგინეს. ამნისტია ხდება მაშინ, როცა ქვეყანაში არის სტაბილური ვითარება და შეგიძლია ნელ-ნელა დააცარიელო ციხე. თუ უშვებ საშიში დამნაშავეების უდიდეს ნაწილს, ძალიან აშავებ. შენიშვნები მაქვს ე.წ პოლიტპატიმრების სიასთან დაკავშირებითაც, რადგან არც ერთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას არ უთქვამს, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არსებობენ. ბელორუსში 5 პოლიტპატიმარია, ჩრდილოეთ კორეაში – 11 და საქართველოს პარლამენტი ამბობს, რომ საქართველოში 200 პოლიტპატიმარია. ვის ვაწონებთ ამით თავს?! ვაცხადებთ, რომ ვართ არასერიოზული ქვეყანა და თუ ვინმემ სერიოზულად მიიღო ეს განცხადება, მაშინ გამოდის, რომ ვყოფილვართ ბირმა, ბელორუსი და 70-იანი წლების დიქტატორები. მაშინ ამ ქვეყანაში ვინ ჩადებს ფულს, ვინ დაგასაქმებთ?! საუბარია კონკრეტულ ადამიანებზე. გევორქიანმა პირდაპირ მისცა „ნაკოლი“, რის გამოც ფოთში მოგვიკლეს უამრავი ადამიანი – ენვერის საქმე, ის გარეთ გადის. იყო ასეთი უწყინარი მკვლევარი მაისაია. ერთ ორგანიზაციას გადაეყარა ევროპაში, რომელმაც უსაფრთხოების ანალიზების მიწოდება სთხოვა, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, მოთხოვნები მოგვიანებით გაიზარდა – სერიოზული ანალიზები მოსთხოვეს. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, სუსტი დაცვის გამო თავდაცვის სამინისტროში მაისაია სენსიტიურ ინფორმაციას მოიპოვებდა.

მისივე თქმით, ამ სიით გარეთ გამოდიან სახელმწიფო გადამტრიალებლებიც, რომლებმაც მუხროვანის ამბოხება მოაწყვეს.

–გიგი კალანდაძემ შემოარტყა ალყა, ყველგან არტილერია დააყენა, მე დავრეკე დილით და ვიკითხე, რა გინდათ-მეთქი. ჩვენ გვინდა პრეზიდენტის გადადგომა, მთავრობის გადადგომა, ხელახალი არჩევნები და ყველა პატიმრის გამოშვება. ვუთხარი, მეტი არაფერი გინდათ-მეთქი? არაო. დავრეკე და სატანკო ნაწილის ხელმძღვანელი მეუბნება – ჩვენა ბატონო პრეზიდენტო გაფიცულები ვართ. ოთანაძემ მითხრა, არ მინდა შეწყალება, ან რუსეთი მოვა ან ჩემი მთავრობა და გამათავისუფლებსო. ოთანაძეს რამხელა წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონია. როდესაც ასეთ პატიმრებს უშვებ, ეს ან ჩემს ჯინაზე კეთდება – და მაშინ კიდევ გავიგებ, ან პირდაპირ რუსეთის დაკვეთით. ამ ნაწილს დავადებ ვეტოს, რადგან არ მინდა, საქართველოს მოვჭრა თავი. მიმაჩნია, რომ დანარჩენი ამნისტიაც მიუღებელია, მაგრამ ეს არის პარლამენტის პოლიტიკური გადაწყვეტილება და თუ მათ სურთ, გადალახონ პირველ ნაწილში ჩემი ვეტო, აიღონ პასუხისმგებლობა, რომ საქართველოს თავს ჭრიან. გამოუშვან გადამტრიალებლები, რუსეთის აგენტები, პუტინი კიდევ ერთხელ შეაქებს, თავზე ხელს გადაუსვამს და იტყვის, რომ საქართველოდან პოზიტიური სიგნალებია. მე დავადებ ვეტოს ამას და იმასაც, რომ ყველა სხვა დანაშაულში გაჰყავთ პედოფილია, რომელიც არ იკურნება. ყველა სხვა დანარჩენი ჯანდაბას, მაგრამ პედოფილიის ნაწილს ვადებ ვეტოს. გადალახონ ეს ვეტოც და აიღოს პასუხისმგებლობა პარლამენტმა, რომ ციხიდან უშვებს პედოფილებს, სახელმწიფო გადამტრიალებლებს და რუსეთის ჯაშუშებს, მაგრამ მე საღ აზრზე ამას ხელს არ მოვაწერ, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ამნისტიის შესახებ კანონპროექტი პრეზიდენტის ადმინისტრაციას პარლამენტმა პრეზიდენტს ხელმოსაწერად გუშინ გაუგზავნა. უმრავლესობაში წინასწარ იცოდნენ, რომ პრეზიდენტი ვეტოს დაადებდა. ისინი ვეტოს დაძლევისათვის ემზადებიან. ვეტოს დასაძლევად 89 ხმაა საჭირო.

# „ქართული ოცნების“ აქტივისტები ლაგოდეხში ახალი გამგებლის დანიშვნას აპროტესტებენ

ლაგოდეხის რაიონს ახალი გამგებელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე საკრებულოს 13-მა წევრმა ერთხმად დაამტკიცა „ქართული ოცნების“ წევრი ვალერი ალიბეგაშვილი, თუმცა „ქართული ოცნების“ აქტივისტების ნაწილმა უნდობლობა გამოუცხადა გამგებლის არჩევისას შექმნილ დროებით საარჩევნო კომისიას და საკრებულოს თავმჯდომარეს სხდომათა დარბაზში ორი საათის განმავლობაში შესვლის უფლებას არ აძლევდა.

მათი განცხადებით, ვალერი ალიბეგაშვილი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერად ასაღებს თავს, სინამდვილეში კი ნაციონალურ მოძრაობასთან გარიგებულია.

ინცინდენტის დროს საჭირო გახდა პოლიციის გამოძახება. არჩევნები კი ერთ-ერთ კაბინეტში ჩატარდა , სადაც „ქართული ოცნების“ აქტივისტების პროტესტი კიდევ უფრო გამწვავდა. ისინი კაბინეტში შეიჭრნენ და გადაწყვეტილების გაუქმებას ითხვდნენ. კოალიციის მხარდამჭერები პერმანენტული აქციებით იმუქრებიან და ამბობენ რომ ახალ გამგებელს მუშაობის საშუალებას არ მისცემენ. მათ თავიანთი კანდიდატიც ჰყავთ და მხარს კოტე კაპანაძეს უჭერენ.

მოგვიანებით დაპირისპირება შენობის გარეთაც გაგრძელდა. კოალიციის მხარდამჭერებმა განვითარებულ მოვლენებში კოალიციის წევრი ლუკა კურტანიძე დაადანაშაულეს, ვინაიდან, მათი თქმით, ალიბეგაშვილი მისი ნათესავია და გამგებლადაც სწორედ ამიტომ აირჩიეს.

შენობის გარეთ „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა კოალიციის ბანერი დახიეს ,რადგან როგორც მხარდამჭერები ამბობენ , ალიბეგაშვილმა გაყიდა ლაგოდეხი, უღალატა ბიძინა ივანიშვილს, მის კოალიციასაც, ლაგოდეხელებსაც და მის გვერდში მდგომ ხალხს, რომლებიც იმ დამცირებებს იტანდნენ, რაც არჩევნებამდე ხდებოდა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დენი ნაგავს აღარ დაწვავს!

## დენზე ნაგვის მიბმა კანონით აიკრძალება

შორენა მარსაგიშვილი

შარშან ზაფხულში თბილისის მერიამ მრავლისმნახველი საზოგადოება გააოგნა. გიგი უგულავას, მისი საძმოსა თუ სადაქალაქოს გადაწყვეტილებით, ნაგავი დენს მიაბეს. ოპოზიციამ და ხალხმა ბევრი ივიშვიშეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. უმრავლესობაში ნაცმოძი იყო და, რაც მოუნდებოდათ, იმის გატანას ახერხებდნენ. არჩევნები ცოტა სხვა შედეგით რომ დასრულებულიყო, ალბათ, წყალს მიაბამდნენ ბუნებრივი აირის გადასახადს და შესაძლოა ჰაერზეც კი დააწესებინათ ტარიფები.

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ გვიმტკიცებდნენ, ხალხზე ზრუნვის სურვილმა მიგვაღებინა ეს კანონიო. „ზრუნვა" მალე იგრძნო ხალხმა საკუთარ ტყავზე. პროტესტიც გამოხატეს, მაგრამ ამაოდ.

თბილისის საკრებულო ნაციონალებით იყო გაძეძგილი. ახლა ცოტა შეთხელდნენ, მაგრამ მაინც უმრავლესობაში არიან და ისევ იმ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომლებიც უგულავასა და მშობლიურ პარტიას წაადგება.



სწორედ აქედან გამომდინარე ვერ შეძლო საკრებულომ დენისგან ნაგვის მოხსნა. სამაგიეროდ, ნაციონალებმა მიიღეს სხვა „ჰუმანური" გადაწყვეტილება. კერძოდ, მათ ზამთრისთვის ნაგვის გადასახადი გაგვინახევრეს, თუმცა ისევ დენზე დატოვეს მიბმული. ეტყობა, შეეშინდათ, არსად გაიქცესო.

გასაკვირი ის იქნებოდა, არაფერზე მიებათ ეს ნაგავი. სხვა თუ არაფერი, თბილისის მერი ლას ვეგასში დაიარება დასუფთავების ამბებზე. ლას ვეგასში წასვლა კი ძვირი ჯდება და, სუფთა ქალაქი თუ გვსურს, მაშინ ცოტა მეტი თანხებიც უნდა გავიღოთ იმისთვის, რომ ქალაქის თავი გაერთოს.

ისე, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ დასუფთავების სამსახურში „უგუს" ბევრი ზონდერი ჰყავს დასაქმებული. არა, მაგათ არ ახვეტინებს ქალაქს. უბრალოდ, ხელფასს უხდის. ზონდერებსაც ხომ უნდათ ჭამა. ზონდერების ამბით გამოძიებაა დაინტერესებული და ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ, ახლა კი ისევ დენზე მიჯაჭვულ ნაგავს მივხედოთ.

ძალიან მალე ნაგავი ამ ტყვეობისგან გათავისუფლდება. ამ „სპეცოპერაციას" თავის თავზე დეპუტატი თინა ხიდაშელი იღებს. დაბმული ნაგვის წინააღმდეგ ის შარშანაც ილაშქრებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სამაგიეროდ, ახლა გახლავთ საპარლამენტო უმრავლესობაში და ლელოს გატანას შეძლებს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადის ერთმანეთზე მიბმა კანონმდებლობით დაუშვებელი იქნება.

ამასთან დაკავშირებით ცვლილებები საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, თინათინ ხიდაშელმა მოამზადა, რომელიც პარლამენტში უკვე დაარეგისტრირა.

ხიდაშელის განმარტებით, „დედაქალაქის შესახებ" და „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" კანონებში ცვლილება შედის, რომელიც ნაგვისა და ელექტროენერგიის გადასახადის ერთმანეთთან მიბმის აკრძალვას გულისხმობს.

– კანონპროექტით დამატებით გადასახადის შემოღება აკრძალული იქნება და ვერც ერთი თვითმმართველობა დამატებით გადასახადს ვერ შემოიღებს, – განაცხადა ხიდაშელმა.

დღესვე პარლამენტში კიდევ ერთი პროექტის ინიცირება მოხდება, რომლის მიხედვითაც, საბავშვო ბაღებში გადასახადი აღარ იქნება. ხიდაშელის განმარტებით, კონსტიტუციაში წერია, რომ არ შეიძლება, საბავშვო ბაღებში საფასური იყოს.

# ქუთაისელები პარლამენტს ვერ ელევიან

## რა დააშავა ხაშურმა, თელავმა და დუშეთმა

თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობის რეკონსტრუქცია იწყება. ამ ზაფხულს ის მავანის ბრძანებით დაარბიეს და იქ მუშაობა შეუძლებელია. მუშაობით ჩვენი დეპუტატები თავს დიდად არ იკლავენ, მაგრამ ნატოზე პრეტენზიის მქონე ერი ამ დარბეულ დარბაზებში ხომ არ შევუშვებთ დეპუტატებს. ეგეც არ იყოს, პარლამენტის თბილისში გადმოსატანად საკონსტიტუციო ცვლილებაა საჭირო. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ნაციონალებმა საპარლამენტო ქალაქად ქუთაისი გამოაცხადეს. ამით დედაქალაქს ფუნქცია დააკარგვინეს.

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნების წინ მეოცნებეები დაგვპირდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში პარლამენტს თბილისში დააბრუნებდნენ. დანაპირების ასრულება ნელ-ნელა დაიწყო. უკვე გამოვლინდა ის ფირმა, რომელიც პარლამენტის შენობას გაარემონტებს. ვიცესპიკერი ზვიად ძიძიგური ვარაუდობს, რომ თბილისში დეპუტატები მომავალი წლიდან დაიწყებენ მუშაობას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოგროვება იქნება პრობლემა.



დეპუტატების ერთი ნაწილი იმის გარკვევასაც ითხოვს, თუ ვისი ბრძანებით მოხდა პარლამენტის შენობის დარბევა. ასევე გასარკვევია, ზუსტად რა ოდენობით თანხები დაიხარჯა ქუთაისის პარლამენტის აშენებაზე. ოფიციალური ცნობით, 360 მილიონია დახარჯული. გასაკეთებელი კი კიდევ ბევრია.

რაც გაკეთებულია, ისიც უხარისხოა. შენობაში ჟანგბადის ნაკლებობაა და თანამშრომლებს გული უწუხდებათ. დეპუტატებს კი ხან რა ეცემათ თავზე და ხან რა და სანამ ვინმეს მართლა რამე მოხვედრია თავში, ჯობია, იქიდან გამოასწრონ.

ნაციონალური მოძრაობა პარლამენტის ქუთაისში გადატანას დიდ მონაპოვრად მიიჩნევს. ისინი ამ მონაპოვარზე უარის თქმას არ აპირებენ. უფრო მეტიც, მათ ხალხს მოუწოდეს, გამართონ აქციები და არ დათმონ პარლამენტი.

მოსახლეობას დიდად არ ადარდებს, პარლამენტი მათ ქალაქში იქნება თუ თბილისში. სამაგიეროდ, არასამთავრობო ორგანიზაციები შეშფოთდნენ. მათ მხარი ადგილობრივმა მედიაორგანიზაციებმაც აუბეს.

ქუთაისში მოქმედმა არასამთავრობო და მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებმა ღია წერილით მიმართეს საქართველოს პარლამენტს. ისინი მოუწოდებენ დეპუტატებს, უარი თქვან მორიგ საკონსტიტუციო ცვლილებაზე, რომელიც ქუთაისიდან პარლამენტის გადატანას ეხება.

– მოგიწოდებთ, არ შეცვალოთ კონსტიტუცია კიდევ ერთხელ, არ წაართვათ ქუთაისსა და რეგიონის მოსახლეობას პოლიტიკურ პროცესებში მეტი ჩართულობის განცდა. დაუტოვეთ შანსი, მიიღონ თქვენი სიახლოვით გამოწვეული ეკონომიკური ეფექტი და, რაც მთავარია, არ აფიქრებინოთ, თითქოსდა 3500-წლიანი ისტორიის ქალაქს თქვენს ღირსად არ თვლიდეთ. ნუ წაგვართმევთ პარლამენტს! ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის, უპირველესად კი პარლამენტის ქუთაისში გადატანამ გაზარდა ქუთაისის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მისი საერთაშორისო ცნობადობა, რასაც, შესაბამისად, მოჰყვა საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება: ქუთაისში უძრავი ქონების ღირებულების ზრდა; მოიმატა მოთხოვნამ დამატებით სერვისებზე, რამაც, თავის მხრივ, მომსახურების სფეროში ახალი ბიზნესობიექტების გაჩენა გამოიწვია. ქუთაისში საგრძნობლად გაიზარდა შიდა და საერთაშორისო ტურიზმი. ქვეყნის პოლიტიკური ფუნქციების გარკვეული ნაწილის ქუთაისისათვის დელეგირებამ გააჩინა ქალაქისა და რეგიონის საზოგადოების პოლიტიკური აქტივობის გაზრდის იმედი. ქუთაისისთვის გაზრდილი ადმინისტრაციული და ბიზნესფუნქციები ქმნიდა იმერეთის მხარის უფრო სწრაფი ტემპებით განვითარების წინაპირობებს. ყველა ამ ცვლილებამ ქუთაისს, როგორც ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქს, გაუჩინა შანსები, გამოსულიყო იმ პოლიტიკური და ეკონომიკური სტაგნაციიდან, რომელშიც წინა საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ჩავარდა და რომლიდან თავის დაღწევას საკუთარი მწირი რესურსებით უშედეგოდ ცდილობდა. ამჟამად ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში განიხილება საკონსტიტუციო ცვლილების პროექტი, რომლის მიზანიც ქუთაისიდან პარლამენტის გადატანაა. ამ ინიციატივის გასამართლებლად გამოთქმული არგუმენტები შეიძლება რამდენიმე პუნქტად ჩამოყალიბდეს: ქუთაისში პარლამენტის შენახვა უფრო ძვირია, ვიდრე თბილისში; პარლამენტსა და მთავრობას შორის არსებული მანძილი (220 კილომეტრი) გაართულებს კომუნიკაციას; პარლამენტის შენობა არაკომფორტულია.

დეპუტატებს ქუთაისში კომუნალური პრობლემები ექმნებათ. რაც შეეხება ქუთაისში პარლამენტის შენახვის სიძვირეს, არსებობს ალტერნატიული გათვლები, რომლის მიხედვით, ქუთაისში პარლამენტის შენახვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე თბილისში. ასეც რომ არ იყოს, წელიწადში რამდენიმე ათეული ან თუნდაც ასეული ათასი ლარის დაზოგვა ნამდვილად ვერ გადაწონის იმ პოზიტიურ შედეგებს, რასაც პარლამენტის ქუთაისში ფუნქციონირება მოიტანს. დანარჩენი არგუმენტებიდან ზოგიერთი (კომუნიკაციის სირთულეებზე აპელირება კომუნიკაციების საუკუნეში) ღიმილისმომგვრელია, ზოგიც (ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობის არაკომფორტულობა) – მარტივად გადაწყვეტადი. ბოლოს კი (პარლამენტარების კომუნალური პრობლემები) გამაღიზიანებელი და გაუგებარი საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის. უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ, ვდგავართ ფაქტის წინაშე, როდესაც ჩვენი ქვეყნის რჩეულები, დეპუტატები, რომლებსაც საქართველოს მოსახლეობამ ნდობის მანდატი მიანიჭა, განიხილავენ საკონსტიტუციო(!) ცვლილებას, რომლის არსიც მათივე კომუნალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვაა. პატივცემულო დეპუტატებო, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სიდიდითა და მნიშვნელობით მეორე ქალაქი გაგებით ვერ მოეკიდება და მხარს ვერ დაუჭერს პარლამენტის ქუთაისიდან გადატანის ინიციატივას, ვერ დაირცხვენს იმის გამო, რომ ხალხის რჩეულთა 24-საათიანი წყალმომარაგება ვერ უზრუნველყო. მიგვაჩნია, საქართველოს მოსახლეობამ იმიტომ აგირჩიათ, რომ პრობლემები გადაჭრათ და არა იმიტომ, რომ პრობლემებს გაექცეთ, – ნათქვამია პარლამენტისადმი მიმართულ ღია წერილში.

ნაციონალები ამ წერილს გულისხმიერად მოეკიდნენ. ისინი მეოცნებე კოლეგებს მოუწოდებენ, რომ არ გადადგან ეს ნაბიჯი და არ წაართვან ქუთაისს პარლამენტი.

ქუთაისელების დიდ ნაწილს დიდად არ ადარდებს, იქნება თუ არა მათ ქალაქში პარლამენტი, რადგან მათ ამით ვერანაირი სარგებელი ვერ ნახეს. ამიტომ ნაციონალების „ზრუნვა" ქუთათურებზე უადგილოა. ამასთან, ყველამ ვიცით, რომ მათი დიდი ნაწილი პარლამენტში თბილისში დაბრუნების მომხრეა, მაგრამ სააკაშვილის ხათრით ამას ხმამაღლა არ ამბობენ.

ისე, ახლა ასე გაგებით რომ ეკიდებიან ხალხის მოთხოვნას, აქამდე სად იყვნენ. რატომ არ შევიდნენ ხალხის მდგომარეობაში მაშინ, როცა ასეულობით ათასი ადამიანი პრეზიდენტის გადადგომას ითხოვდა.

გასაგებია, რომ ყველა ქალაქი უნდა განვითარდეს და ყველას უნდა კარგი ცხოვრება და, რადგან ასეა, მაშინ მარტო ქუთაისზე არ უნდა ვზრუნავდეთ. რა დააშავა ხაშურმა, თელავმა ან დუშეთმა. აქაურებსაც აქვთ უფლება, პარლამენტის დადგმა მოითხოვონ.

ასეთი რამეების თავიდან აცილების მიზნით უმჯობესია, პარლამენტი დედაქალაქში დაბრუნდეს, ანდა ბორბლები დაუყენეთ პარლამენტს და მთელ საქართველოში იმოგზაურეთ.

# როლანდ ახალაიას შესაძლოა დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნან

შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე თვის წინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ახალაიების ძლევამოსილი ოჯახი ასეთ დღეში ჩავარდებოდა. ბაჩო ახალაია დაპატიმრებულია, დათა ახალაიაზე ძებნაა გამოცხადებული. მათი მამა როლანდ ახალაია კი დაკითხვაზე დაიბარეს.



ახალაიას პროკურატურამ დაკითხვაზე 25 დეკემბერს უხმო. ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი პროკურატურაში მისვლაზე უარს ამბობს. თუმცა მზადაა გამოძიების კითხვებს უპასუხოს, ოღონდ საჯაროდ.

სხვას დასაკითხად იძულებით მიიყვანდნენ. როლანდ ახალაიასთან ეს იძულება არ გამოვა. რადგანაც ის დეპუტატია. დეპუტატს კი ასე იოლად ვერ დაკითხავ. გუშინ ცნობილი გახდა, რომ როლანდ ახალაიას, შესაძლოა, სადეპუტატო უფლებამოსილება შეუწყდეს.

ტელეკომპანია „მაესტროს" ინფორმაციით, ამის შესახებ სამეგრელოს საოლქო პროკურორმა, ვალერი იოსავამ განაცხადა. ამის მიზეზად მან დაკითხვაზე ახალაიას გამოუცხადებლობა დაასახელა.

– როლანდ ახალაიას ძალიან მძიმე ბრალდება აქვს. ეს არის დიდი ოდენობით ქრთამის გამოძალვის ფაქტები. ამ მძიმე ბრალდებას უნდა პასუხის გაცემა. თუ არ გასცემს, ჩვენ მას იძულებით ვერ და არც მოვიყვანთ. ვინაიდან ის არის პარლამენტის წევრი, ჩვენ გვაქვს ერთადერთი გზა – მივმართოთ ჩვენს ზემდგომს და ის მიიღებს ზომებს. ჩვენი შუამდგომლობა იქნება ისეთი, რომ ის გამოწვეული იქნას პარლამენტიდან. ჯერ უნდა გამოიწვიო პარლამენტიდან, შემდეგ წაუყენო ბრალი. ბრალი მომზადებული გვაქვს და დადასტურებულად მიგვაჩნია. ეს არის ქრთამის სახით დიდი ოდენობით თანხის გამოძალვა, – განაცხადა ვალერი იოსავამ.

ამ ამბამდე ერთი დღით ადრე როლანდ ახალაია ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებდა, რომ მის ოჯახს ატერორებენ.

– ჩემი ოჯახი დღეს არის ტერორის ქვეშ და ამას არაფერი საერთო კანონთან და სამართალთან არ აქვს, – განაცხადა როლანდ ახალაიამ.

მისივე განცხადებით, იგი პროკურატურაში მისვლას არ აპირებს და იქვე აღნიშნავს, რომ ეს არის პირდაპირი პროვოცირება, შანტაჟი და დევნა.

– მე მთელი ჩემი ცხოვრებისა და მუშაობის პერიოდი უკანონობას ვებრძოდი. მაგრამ ჩანს, აქ სხვა რამეა. როგორც არჩევნების შემდეგ შემომითვალა ბატონმა ალასანიამ, რომელსაც დაახლოებით 15 000 ხმით მოვუგე, თუ არ ჩამოვშორდებოდი არჩევნებს და არ ვაღიარებდი წაგებას, მემუქრებოდა დაჭერით. ჩემი ოჯახი დღეს არის ტერორის ქვეშ და ამას არაფერი საერთო კანონთან და სამართალთან არ აქვს. ეს არის პირდაპირი პროვოცირება, შანტაჟი, დევნა. ჩვენ ვერც დაჭერით, ვერც შანტაჟით ვერ შეგვაშინებენ. მე მინდა მათ ვუთხრა, ვინც ამის უკან დგას, რომ არ მეშინია, დამიჭირეთ, აგერ ვარ, თუ თქვენი მიზანი ეგ არის, – განაცხადა ახალაიამ.

პროკურატურა სხვა დეპუტატების დაკითხვასაც აპირებს. და მაშინ მათაც უნდა მოეხსნასთ დეპუტატის უფლებამოსილება. ახალაიასთან შესაძლოა ბევრი კითხვები აქვთ, მაგრამ პარლამენტის ზოგიერთ წევრს მასზე ბევრი აქვს მიქარული.

ქვეყნის მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი ახალაიას საჯაროდ დაკითხვაში პრობლემას ვერ ხედავს.

– წინააღმდეგი არ ვარ, რომ როლანდ ახალაია საჯაროდ დაიკითხოს. ვერ ვხედავ პრობლემას იმაში, რომ კითხვები, რომლებსაც ჩვენ დავუსვამთ, ყველამ მოისმინოს, მაგრამ ასეთ რამეს კანონი არ ითვალისწინებს. მოწმის დაკითხვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით ხდება. ეს მკაცრად გაწერილი დოკუმენტია. და მხოლოდ იმ ქმედებების განხორციელების საშუალებას ითვალისწინებს, რაც იქ წერია. ბატონმა როლანდ ახალაიამ ეს კარგად უნდა იცოდეს, – განაცხადა კბილაშვილმა.

ერთ-ერთი საქმე, რომელზეც ახალაიას სავარაუდოდ დაკითხავენ ბიზნესმენ დავით როგავას კუთვნილ უნივერმაღს უკავშირდება, რომელიც როგავას თქმით ახალაიამ წაართვა

# ზურაბ აბაშიძე პუტინის წარმომადგენელს შეხვდება

ნათია ხურცილავა

**საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, ორი თვის საქმიანობის ანგარიში ჩააბარა საზოგადოებას. თუმცა, მანამდე აზერბაიჯანში გამართული ვიზიტის შესახებ მინისტრი ამბობს, რომ მისი დიპლომატიური კარიერის მანძილზე მსგავსი დახვედრა არასდროს უნახავს.**

— ბევრი მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტი მინახავს, მაგრამ ისეთი გულთბილი დახვედრა და მასპინძლობა, როგორიც ბიძინა ივანიშვილს ბაქოში მოუწყვეს, არასოდეს, — ასე გამოეხმაურა საგარეო საქმეთა მინისტრი აზერბაიჯანში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის პირველ ოფიციალურ ვიზიტს.

მაია ფანჯიკიძის შეფასებით, ეს იყო უაღრესად გულთბილი შეხვედრა, რომელიც ორსაათ-ნახევრის ნაცვლად ოთხსაათ-ნახევარი გაგრძელდა.

— ამ ოთხსაათ-ნახევრის განმავლობაში შედგა არა მხოლოდ პირისპირ შეხვედრები, არამედ შეხვედრები გაიმართა დელეგაციების წევრებს შორისაც. ამასთან, გაგვიმასპინ-



ძლდნენ სადილით, რომელიც, როგორც გვითხრეს, პრეზიდენტის სახელით არ იმართება ხოლმე. ბაქოში ვიზიტმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება საუბრის თემებს, მისივე განმარტებით, საუბარი აბსოლუტურად ყველა თემას — როგორც ორმხრივ, ისე რეგიონულ თუ გლობალურ თემებს შეეხო, თუმცა ის ძირითადად გაცნობით ხასიათს ატარებდა და მასზე კონკრეტული საკითხის გადაჭრის მიზნებსა და გზებზე საუბარი არ ყოფილა.

—მაგრამ მხარეებმა აღნიშნეს, რომ გვაქვს საერთო ინტერესი და გამოთქვეს მზადყოფნა, რომ სტრატეგიული თანამშრომლობა გაღრმავდეს. შეიქმნა ძალიან კარგი საფუძველი იმისა, რომ ნებისმიერი საკითხი, რომელსაც ქართული ან აზერბაიჯანული მხარე დააყენებს, გადაიჭრას დიალოგის გზით, — დასძინა ფანჯიკიძემ.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე შესაძლოა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წარმომადგენელს შეხვდეს. აღნიშნული ინფორმაცია ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ მოაწოდა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელის განმარტებით, ჯერ მხარეებს შორის მორიგი შეხვედრა ამ რანგში მოიაზრება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ამ დრომდე მიღებული არ არის.

— პრემიერმა არ გამორიცხა, რომ უმაღლეს დონეზე შეხვედრა შედგეს. არაფერი დაგეგმილი არ არის, მაგრამ ის ფაქტი, რომ ასეთი მზაობა არსებობს, კარგია, რადგან ვიცით, რომ მნიშვნელოვანი საკითხები სწორედ უმაღლესი დონის შეხვედრაზე წყდება. ჯერჯერობით დაგეგმილია, მაგრამ ისიც არა ზუსტად, რომ ზურაბ აბაშიძე რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელს შეხვდება, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

ასევე შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე მინისტრმა განაცხადა, რომ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სომხეთში ვიზიტი 17 იანვარს გაიმართება.

ქვეყნის პირველი დიპლომატის განცხადებით, პრემიერ-მინისტრს ასევე დაგეგმილი აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი, მათ შორის, სავარაუდოდ, 2013 წლის თებერვალში პრემიერი ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვევა, ხოლო რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში ივანიშვილის ვიზიტს, ის, სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულზე გაიმართება.

საგარეო უწყების ხელმძღვანელი პრესისთვის აზუსტებს, რომ პრემიერის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში გადადებული არ ყოფილა.

— ეს ვიზიტი არ გადადებულა, ვინაიდან ის დანიშნულიც არ ყოფილა. პრემიერი აუცილებლად ჩავა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოგეხსენებათ, ნოემბერში ახალ მთავრობას ძალიან ბევრი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი. ამასთან, აშშ-ში არ ყოფილა ჩამოყალიბებული არჩევნების შემდეგ ყველა ის თანამდებობის პირი, რომლებიც არჩევნების შემდეგ დაინიშნენ. ამასთან, ამერიკაში ერთი-ორი დღით ვერ წახვალ, ეს უფრო გრძელვადიანია, სწორედ ამიტომ გადაიდო ამ ვიზიტის დაგეგმვა, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მომავალი წლის დასაწყისში ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანს ეწვევა.

მიმდინარე წელს განხორციელებული საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ გამართულ წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

1-3 თებერვალს კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მონაწილეობას მიიღებს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში, სადაც სიტყვით გამოვა.

საგარეო უწყების ხელმძღვანელი კოჰაბიტაციის საკითხსაც შეეხო.

— ახალი ხელისუფლება ბევრად მზად არის კოჰაბიტაციისთვის, ვიდრე ოპოზიცია, — განუცხადა ჟურნალისტებს ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება უშუალოდ საგარეო უწყებას, ფანჯიკიძის განმარტებით, კოჰაბიტაციის პროცესი გარკვეულწილად კარგად მიმდინარეობს, გარკვეულწილად კი ამ მხრივ სერიოზული პრობლემებია.

— კოჰაბიტაციის პროცესი სამინისტროში გარკვეულწილად კარგად მიმდინარეობს, თუმცა გარკვეულწილად არის სერიოზული პრობლემები. კარგია იმ მხრივ, რომ ეს არის სამინისტრო, რომელმაც მინისტრის ორი მოადგილე შეინარჩუნა და ასევე შენარჩუნებულია თანამშრომელთა დაახლოებით 95 პროცენტი, აქედან წასულთა ნაწილმა კი სამინისტრო საკუთარი გადაწყვეტილებით დატოვა. შემიძლია მათ დავპირდე უკეთეს პირობებს იმ მხრივ, რომ მათზე აღარ იქნება ზეწოლა, — აღნიშნა ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება კოჰაბიტაციის მხრივ არსებულ სერიოზულ პრობლემებს, საგარეო საქმეთა მინისტრი აღნიშნულის მაგალითად ელჩების თემას ასახელებს.

— როგორც ცნობილია, რამდენიმე დიპლომატმა თავად გამოთქვა სურვილი, შეეწყვიტა საქართველოს ახალ მთავრობასთან თანამშრომლობა, თუმცა უკვე ორი თვეა გასული და მათგან მხოლოდ ერთი თანამშრომელია გარკვეული. ყველა მათგანის გამოცვლა ალბათ ერთ-ორ თვეში იქნება შესაძლებელი. შეირჩა ახალი კანდიდატურები, თუმცა მათ ვინაობას გაიგებთ მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ მოქმედი ელჩების გამოწვევა მოხდება როტაციის პრინციპით. საერთო ჯამში, შემიძლია გითხრათ, რომ ახალი ხელისუფლება ბევრად მზად ვართ კოჰაბიტაციისთვის, ვიდრე ჩვენი ოპონენტები, — დასძინა ფანჯიკიძემ.

# სოსო ცისკარიშვილი: „ნაციონალებს სიტუაციის შეფასების უნარი არ აღმოაჩნდათ“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან

*— ბატონო სოსო, მიილია 2012. მოდით, შევაფასოთ განვლილი წელი, როგორია თქვენი, როგორც ექსპერტის, შეფასებები? შევაფასოთ ცუდიც და კარგი მოვლენებიც...*

— მოვლენებით გადატვირთული წელი გახლდათ 2012 და ვფიქრობ, ეს დიდხანს დარჩება დღევანდელი თაობების მეხსიერებაში, როგორც ქართველი ხალხის და საქართველოს საზოგადოების ღირსების აღდგენის და ნების უშიშრად გამოხატვის წელი. რასაკვირველია, ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა უკვე შემოდგომაზე და სექტემბრის დაძაბულმა თვემ, რომელმაც ბევრი მოლოდინი და შფოთი შემოიტანა წინა საარჩევნო პერიოდში, მოიტანა პირველი ოქტომბრის დღე, რომელიც ცხადია, შეიძლება ისტორიულ თარიღად იქნეს მონათლული მომავალში, რადგან საქართველოს პირობებში ეს გახლდათ პირველი შესაძლებლობა ქართველი საზოგადოებისთვის, რომ ღიად გამოეთქვა საკუთარი სურვილი და შეეცვალა არსებული ხელისუფლება.

მოვლენები რაც ოქტომბრის მერე ვითარდება, მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართული დემოკრატია ჯერ ფეხზე მაინც ვერ დადგა და არსებობს საფრთხე იმისა, რომ მომავალი დემოკრატიული მონაპოვარი, თუ ის არ იქნა ისეთივე ერთგულებით დაცული მთელი მოსახლეობის მიერ, როგორც ეს ხდებოდა პირველ ოქტომბერს, შესაძლებელია საფრთხის წინაშე აღმოვჩნდეთ. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ 2012 წლის ოქტომბერში გამარჯვება შედგა და ახლა უკვე მომკის ჟამია იმისა, რაც დათესა ქართველმა საზოგადოებამ, ეს ცოტა ნაადრევია. იყო მცდელობა, საბედნიეროდ, წარმატებული, რომ დემოკრატიის თესლი ჩაყრილიყო ქართულ მიწაშიც და ასე უცებ ცხადია ნაყოფი არ იზრდება. მით უმეტეს, როცა სერიოზული ძალები ქვეყანაში ცდილობენ რამენაირად ეს ახალგაზრდა, ნორჩი ნერგი დემოკრატიისა გათელონ და ამოძირკვონ. ასეთი ერთმანეთის საწინააღმდეგო ქმედებები დღეს საქართველოში არსებული პოლიტიკური ძალების დაპირისპირებისა, თავისთავად შეიცავს გარკვეულ საფრთხეს, არა მხოლოდ რეალურად ახლა შობილი დემოკრატიისთვის, არამედ მთლიანად სახელმწიფოებრიობის პერსპექტივისთვის.

***— ბატონო სოსო, საუბრობთ, რომ საფრთხე რეალურია, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული?***

— უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ მისი არსებობა. არ უნდა ჩავდგეთ გამარჯვების ხიბლით მონუსხულთა რიგებში. ნაცვლად იმისა, რომ დაუყოვნებლივ მოვითხოვოთ ტანაყრილი, ცისკენ მიმართული მაღალი ნარგავები დემოკრატიის, რომლის ჩრდილშიც ყველამ თავი ბედნიერად უნდა ვიგრძნოთ, ნაცვლად ამისა, უნდა ვეცადოთ თავად მოვუაროთ ამ ნერგებს და არ ჩავთვალოთ ეს რომელიმე ცალკე აღებული პოლიტიკური ძალის ფუნქციად. საზოგადოების მზაობა იმისთვის, რომ იცხოვროს დემოკრატიულ სახელმწიფოში, საკმაოდ მაღალი იყო, როგორც ეს დავინახეთ ოქტომბრის დასაწყისში და ეს მუხტი არ უნდა დაიკარგოს. ერთიანობა საზოგადოების და ხელისუფლების სწორედ ამაში უნდა იყოს გამოხატული, რომ საკმაოდ მძიმე და ხიფათიანი პერიოდი ქართული დემოკრატიის ზრდისა და დამკვიდრებისა, უნდა იყოს საერთო ვალდებულება საკუთარი ქვეყნის წინაშე, როგორც საზოგადოების, ასევე ხელისუფლების.

***— რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, საზოგადოება ამ ბოლო პერიოდში ისმენს, თუ როგორია მათი და პრეზიდენტის განცხადებები. სააკაშვილის გამოსვლები საკმაოდ აგრესიული და მუქარანარევია. თქვენი აზრით, რით არის ეს ყველაფერი განპირობებული?***

— ჩემი აზრით, რასაკვირველია, ნაციონალურ მოძრაობას არ აღმოაჩნდა უნარი რეალური სიტუაციის შეფასებისა, რადგან ისინი 9 წლის განმავლობაში ძალიან სათბურის ვითარებაში არსებობდნენ. მათი ნებისმიერი სურვილი იყო გაფორმებული ან კანონის სახით, ან უკანონო ბრალდებებით, უდანაშაულო ადამიანთა წინააღმდეგ, ან რაიმე სახის სრულიად უპასუხისმგებლო ხარჯებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ანუ ლოზუნგი მათი საქმიანობის გახლდათ — თუ არ შეიძლება, მაგრამ მინდა, მაშინ შეიძლება. ასეთი ვითარება, რომელშიც აღმოჩნდა ნაციონალური მოძრაობა, ააშკარავებს იმ სისუსტეებს, რომელიც იფარებოდა წლების განმავლობაში და დღეს უკვე რეალობასთან მიმართებაში სახეზეა გარკვეული გაუგებრობა ამ გუნდის წევრებს შორის. პრეზიდენტი იძახის, რომ ის და მისი გუნდი სულ მალე დაიბრუნებენ ძალაუფლებას, რის საპასუხოდაც ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე და ყოფილი იდეოლოგები ნაციონალური მოძრაობისა, ბრძანებენ, რომ ისინი მხოლოდ საკანონმდებლო სივრცეში დარჩებიან და თუ რაიმე ტიპის საუბარია ხელისუფლებაში დაბრუნებაზე, აქ იგულისხმება მხოლოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. ოღონდ აი ამ ტერმინს 2016 წლის არჩევნები, არავინ მიანიშნებს. რასაკვირველია, მათ ყველას ძალიან ეჩქარება, რომ წარსულში დააბრუნოს ქვეყანა, იმ წარსულში, სადაც 9 წლის წინ პერსპექტიულად ჩათვლილი პოლიტიკური ძალა-სახელწოდებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, უკვე 2012 წლისთვის ჩამოყალიბდა, როგორც ერთიანი ნაციონალურ სადისტური მოძრაობა, ხოლო 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ პრაქტიკულად იგი გახდა ნაციონალურ-მავნებლური მოძრაობა, რადგან ბერკეტები სადიზმისა მათ წაართვა და რაც მთავარია, სამუდამოდ წაართვა ქართველმა ხალხმა.

***— თქვენ რამდენად დაუშვებთ, ან თუ ხედავთ მცირეოდენ შანსს იმისას, რომ ისინი მართლაც დაბრუნდნენ კვლავ ხელისუფლებაში?***

— თუ ძალიან არ მოინდომა ქართულმა პოლიტიკურმა ფართო სპექტრმა და მთელმა მოსახლეობამ ერთად, რომ ასეთი დაბრუნება წარსულში მოხდეს, მაშინ სრულიად გამორიცხულია არათუ დაბრუნება, არამედ მიახლოება იმასთან, რასაც ჰქვია ნაცმოძრაობის შაბაში. დღეს ისინი თავდაცვის პოზაში არიან და საკუთარ თავს წინასწარ უკვე პოლიტიკურ დევნილებად ნათლავენ. დღესაც არ აღიარებენ ისინი მათი ხელმძღვანელობის დროს ქვეყანაში პატიმრების არსებობის ფაქტს. თუმცა ამას არაერთი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაცია ხშირად ადასტურებს, კონკრეტული გვარებიც არის ჩამოთვლილი საზღვარგარეთიდან, მაგრამ ახლა ორცეცხლშუაა ნაციონალური მოძრაობა. ერთი ის, რომ პარლამენტის მიერ შემოთავაზებულ ამნისტიაზე, პრეზიდენტის ვეტო იქნება მომაკვდინებელი ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერი პოზიტიური პერსპექტივისთვის. ამავე დროს ხელმოწერა ამ კანონზე აღიქმება, როგორც აღიარება სააკაშვილისა, მისი ერთპიროვნული მმართველობის პირობებში მრავალი ათეული პოლიტიკური პატიმრის არსებობისა საქართველოში.



***— ბატონო სოსო, წინასწარი განცხადებებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, უმცირესობა აცხადებს, რომ პრეზიდენტი დაადებს ვეტოს. საკმაოდ ძნელია პრეზიდენტის ქმედების პროგნოზირება, მაგრამ თქვენი აზრით, რას იზამს სააკაშვილი?***

— ამ შემთხვევაში მაშინ რეალური გახდება ის, რომ 2016 წლამდე ეს პოლიტიკური ძალა უნდა იყოს ყრუ დაცვაში, როგორც პოლიტიკური, ასევე საზოგადოებრივი წრეებისგან და ქართველი ხალხის სიძულვილი ამ პოლიტიკოსების მიმართ მხოლოდ გაიზრდება. სამაგიეროდ, აიწევს პრესტიჟი იმ პარლამენტის, რომელიც საკუთარი ძალებით შეძლებს გადალახოს პრეზიდენტის ვეტო და კანონად აქციოს შემუშავებული წინადადება მასშტაბიანი ამნისტიის შესახებ.

***— ბატონო სოსო, პრეზიდენტის და უმცირესობის თამამი განცხადებების მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ მათ კვლავ აქტიურად უჭერს მხარს დასავლეთი?***

— ასე იყო და ასე აღარ იქნება. რასაკვირველია, არჩევნების შედეგით გაკვირვებული დასავლეთი ღიად ვერ გამოთქვამდა კმაყოფილებას, რომ სისხლი არ დაიღვარა საქართველოში ჩატარებულ არჩევნებზე. ამიტომ მათ გადაწყვიტეს, რომ თვალი დაეხუჭათ იმ რეალობაზე, რომელსაც ერქვა ტოტალური მცდელობა ნაციონალური მოძრაობისა, არჩევნების გაყალბების და ასეთი სწრაფვა მრავალი თვის განმავლობაში ფიქსირდებოდა. პირველ ოქტომბერსაც პრაქტიკულად ასეთი მეთოდი გამოყენე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# თენგიზ დიხამინჯია: „სააკაშვილი პოლიტიკურ კრიზისს ვერ გამოიწვევს“

გულიკო ბალაძე

## ინტერვიუ უზენაესი საბჭოს დეპუტატ თენგიზ დიხამინჯიასთან

*– ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტი ახლა უკვე მუქარაზე გადავიდა. ჩვენ დავბრუნდებითო, აცხადებს. რა გველოდება?*

– პრეზიდენტის ეგზალტირებული მდგომარეობა და მისი, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩენა არაფერს წყვეტს და სახელმწიფოებრიობას გლობალურ პრობლემას ვერ შეუქმნის იმ შემთხვევაში, თუ დღევანდელმა ხელისუფლებამ სწორი, ადეკვატური და შორსმიმავალი ნაბიჯები გადადგა. სწორედ ამჟამინდელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, როგორ მოიქცევა ის, სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ ინტერესებს როგორ დაიცავს. თუ ხელისუფლებამ სწორად იმოქმედა, პრეზიდენტის რეაქციები არადამაჯერებელი, არაფრისმთქმელი იქნება და ვიწრო ჰორიზონტს ვერ გასცდება.

*– რამ გამოიწვია სააკაშვილისა და მისი ჯგუფის ამ კუთხით გააქტიურება?*

– ნაციონალების უმთავრეს ინტერესს წარმოადგენს გადარჩენა. ისინი არიან სისხლის სამართლის დამნაშავეები. თან ეს შეეხება პერსონებს, მოქმედ და ყოფილ პოლიტიკურ ელიტას. ისინი ცდილობენ, პატიმრობა თავიდან აიცილონ. ზოგიერთ მათგანს ფიზიკური ლიკვიდაციის ეშინია. ისინი კონტინენტის იქით იმალებიან. მესამე ფაქტორია დამთრგუნველი კრიმინალური გზით მიტაცებული ქონების შენარჩუნება. მათ საკუთრებაშია დაკანონებული კრიმინალური გზით ნაშოვნი, მიტაცებული, პრივატიზებული ქონება. ამის გამოც იბრძვიან გააფთრებით. ზოგიერთ მათგანს ელემენტარული სამოქალაქო თანაცხოვრების უზრუნველყოფა და ხელშეუხებლობა უნდა. ეს არის მოტივები და ფაქტორები, რაც მათ აქტიურობას განაპირობებს. ამას ემატება ქვეყნის გარეთ სხვადასხვა რეაქცია. სააკაშვილსა და მის ჯგუფს ჩვენი ქვეყნისთვის არაკეთილმოსურნე პერსონები და ორგანიზაციები გარედან ეხმარებიან. ეს მათ პოლიტიკურ დოპინგს მატებს და ისინიც თავისებურ კონტრშეტევაზე გადმოდიან, თუმცა აქედან არაფერი გამოუვათ, თუ ქართველი საზოგადოება და მთავრობა შეთანხმებულად იმოქმედებენ, ჩატეხილი ხიდი, რომელიც ბოლო დროს აღდგა, შენარჩუნდება და ერთმანეთს გააგებინებენ, რის თქმა უნდა თითოეულ მათგანს.

*– თქვენ ამბობთ, არ გამოუვათო. სააკაშვილი გაბედავს, პრობლემები შექმნას რეალურად, დაითხოვოს პარლამენტი და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიოს ქვეყანაში?*

– სააკაშვილი პოლიტიკურ კრიზისს ვერ გამოიწვევს. კონსტიტუციის ბერკეტები შენარჩუნებული აქვს, მაგრამ სასამართლოზე მისი ზეგავლენა დღითიდღე იკლებს. პარლამენტში მიმდინარეობს ე.წ. უმცირესობიდან „ქართულ ოცნებაში“ დეპუტატების გადმობარგების ტენდენციები. კონსტიტუციური ცვლილებისთვის. ეს პარლამენტი ამჟამად არაფუნდამენტურია, მაგრამ ძირითადი ცვლილებისთვის რომ მზადაა, მისასალმებელი ფაქტორია.

*– თუ სააკაშვილს ბერკეტები შენარჩუნებული აქვს, რატომ ვერ გამოიყენებს?*

– ბერკეტები შენარჩუნებული აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ვერ გადააყენონ და მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი რეალურად არ დაისვას. კონსტიტუციურ უმრავლესობას 101 ხმა სჭირდება. ტენდენციები მიანიშნებს, რომ სააკაშვილს ბერკეტები ხელიდან ეცლება, სასამართლოსთან დაკავშირებით მოსალოდნელია ცვლილებები, ძალიან რთულად, მაგრამ შესაძლებელია, სასამართლომ რაღაც დონეზე ის სახე დაიბრუნოს, რაც უნდა ჰქონდეს. ამ თვალსაზრისით ქმედითი ნაბიჯებია გადასადგმელი. ათწლეულებია, ქვეყანაში დრაკონული კონსტიტუციური გადატრიალებები ხდება, რომლის ლიკვიდაცია უნდა მოხდეს და შეიქმნას კეთილისმყოფელი პირობები დიდი კონსტიტუციური ცვლილებებისთვის.

*– საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენას ვერ მოახდენენ, რასაც ძალიან ცდილობენ?*

– ეს იყო დისკრედიტირებული მთავრობა, რომელმაც თავისი მოქალაქეები ქუჩაში დახოცა. 140 ახალგაზრდაზე მეტია მოკლული ქუჩაში. ბევრი მათგანის საქმეს მე პირადად გავეცანი ბატონი იური ვაზაგაშვილის ოფისში, სადაც შვილმკვდარი მამები იკრიბებიან. მნიშვნელოვანი კანონი მიიღო ახალმა პარლამენტმა რეპრესირებულების, პოლიტიკური პატიმრებისა და პოლიტდევნილების შესახებ. ეს არის უმნიშვნელოვანესი აქტი, რომლის პოლიტიკური ფასი და მნიშვნელობა განუზომელია. არ ვიცი, რამდენად აცნობიერებენ საზოგადოება და პარლამენტის წევრები ამას. მისი როლი უზარმაზარია, იმიტომ რომ შემდგომში უნდა მოხდეს იმ დრაკონული და საგანგაშო კანონების გასწორება, რაც მიიღეს და მთელი რიგი პერსონების რეაბილიტაცია. ეს არის ძალიან შორს მიმავალი აქტი. თავისებური, ლეგიტიმური სასამართლო უკვე შედგა. ამ კანონს პარლამენტის დიდმა უმრავლესობამ მისცა ხმა.

*– გინდათ თქვათ, რომ ნაციონალებს ხალხმა, საზოგადოებამ უკვე პოლიტიკური სასამართლო მოუწყო?*

– რა თქმა უნდა. ნდობის მანდატი მიიღო ამ პარლამენტმა და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გადაწყდა. ძალიან შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ საქმე უკვე დამთავრებულია. ეს ქმნის უზარმაზარ პლატფორმას იმისათვის, რომ ნაციონალების მიერ შექმნილი მახინჯი სისტემის დემონტაჟი მოხდეს და სამართლებრივად, პოლიტიკურად, მორალურად სამოქალაქო დონეზე გასამართლდეს და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს არის სააკაშვილის რეჟიმისა და გარეთ მისი ლობისტების პოლიტიკური გასამართლება. ეს არის პარლამენტის იმ დადგენილების შინაარსი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის პირო-



ბებში პოლიტიკური პატიმრების არსებობას შეეხება, რაც არის დანაშაულებრივი რეჟიმის დანაშაულებრივი შედეგების ლიკვიდაციის დასაწყისი. რეჟიმის გასამართლებისთვის საფუძველი უკვე ჩაყრილია.

რაც შეეხება სოციალურ პირობებს, ეკონომიკურ რეფორმებს, მიწის საკუთრების დაბრუნებასა და მთელ რიგ გეოპოლიტიკურ ხლართებს, რომლებიც წინა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით დაუტოვა ახალ ხელისუფლებას, უმნიშვნელოვანესი პრობლემებია. მის გადაწყვეტას რეალურად ქმედითი მექანიზმების შემუშავება სჭირდება. ამ თვალსაზრისით ნაციონალების ნდობის მანდატი ნულს ქვემოთაა. საზოგადოებამ ეს კარგად იცის.

*– თქვენ როგორ აღიქვამთ ნაციონალების განცხადებებს, რომ მათ მიმართ ახალი მთავრობა უსამართლოა, პოლიტიკური დაპატიმრებები ხდება?*

– გარკვეული საქმეების ძიება, დაბარებები, დაჭერები და შემდეგ გამოშვებები სოლიდურად ვერ გამოიყურება.

*– გამოშვებებს სასამართლო ახდენს. სასამართლო კი ჯერ კიდევ ძველი ხელისუფლების გავლენის ქვეშაა.*

– კარგად მესმის, რომ ამ საკითხს მომზადება და მომწიფება სჭირდება. სასამართლო კი ჯერ კიდევ ნაციონალების ხელშია. ამიტომ მკაფიო და მკვეთრი გადაწყვეტილებები ვერც მიიღება, თუმცა რაღაც შენიშვნები უკვე მაქვს მეც და საზოგადოებასაც.

*– რა შენიშვნები გაქვთ?*

– კიდევ კარგი, დროზე მიხვდნენ, ნარკოტიკების ჩადებაზე არასოლიდური დაკავება რომ მოხდა.

*– იმ ფონზე, როდესაც ძველი კადრებისაგან მთელი სისტემის წმენდა არ მომხდარა და ძირითადი ბირთვი პროკურატურისა და შს სამინისტროს სისტემაში თავის ადგილზე დარჩა, გამორიცხავთ, რომ რაღაც მანქანებით მსგავსი ფაქტები შეგნებულად მოწყობილი იყოს?*

– რა თქმა უნდა, არა. როდესაც ახალ ხელისუფლებას არ აქვს მექანიზმები და ბერკეტები, რეფორმები გაატაროს, სასამართლო სასამართლოს დაამსგავსოს, ზემოქმედება მოახდინოს როგორც შს სამინისტროზე, ისე ყველა სტრუქტურაზე, თან გარედან ზეწოლაც არის, ამით ჩანს, რომ პრობლემებია. ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარეა პოლიტიკური, სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ნუსხის კლასიფიკაციისა და რანგირების ჩამოუყალიბებლობა ისე, როგორც საჭიროა.

*– რას გულისხმობთ?*

– ვგულისხმობ კონსტიტუციის დარღვევაში დამნაშავეებს, ტერიტორიული მთლიანობის რღვევაში დამნაშავეებს, სამაჩაბლოსა და კოდორის დაკარგვის ფაქტებს. არგენტინაში ალფონსინი იყო პრეზიდენტი, როდესაც ფოლკლენდის კუნძულები იურიდიულად ეჭვმიუტანლად ეკუთვნოდა და ომი წააგო ინგლისელებთან. ის თავისივე ხელისუფლებამ დაიჭირა, 7 თუ 8 წელი იჯდა, ანუ მის ქმედებას სახელმწიფოებრივი რეაქცია მოჰყვა.

*– მაგ თვალსაზრისით კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა გვაქვს, იმიტომ რომ შევარდნაძისთვისაც არავის მოუკითხავს პასუხი.*

– რა თქმა უნდა, შევარდნაძემაც უნდა აგოს პასუხი. ამიტომ ერთადერთი დიდი შეცდომა, რაც, ჩემი აზრით ამ ხელისუფლებამ დაუშვა, მდგომარეობდა იმაში, რომ სამართლიანობის აღდგენისთვის სტარტი აიღო 2004 წლიდან. ამ ქვეყანაში მომხდარი სახელმწიფოებრივი, კონსტიტუციური, პოლიტიკური, მორალური დანაშაულების აღრიცხვა სააკაშვილის მოსვლიდან (2004 წელი) დაიწყო და არა თუნდაც 1992 წლიდან. 1992 წელს და შემდგომ პერიოდში ჩადენილი იყო სხვადასხვა დანაშაულები. სწორედ ამიტომ საუბრობენ ნაციონალები თითქოსდა დღევანდელი ხელისუფლების რევანშიზმზე. სინამდვილეში ასე არ არის. ეს არის ელემენტარულად სახელმწიფოებრიობის დაცვა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების რეალური ამოქმედება, მაგრამ თვითონ იდეოლოგიურად ეს საკითხი არასწორადაა დაყენებული.

***– რადგან სამართლიანობის აღდგენა 2004 წლის შემდგომ წლებს ეხება?***

– დღეს სამართლიანობის აღდგენას დაერქვა რევანშიზმი ნაციონალების მხრიდან. მათი მესვეურები ბრიუსელში, ამერიკასა და ყველგან დაარწმუნეს ამაში. მოგეხსენებათ, ნაციონალები პიარის დიდოსტატები არიან. შესაბამისად, ასეთი შეფასებები წამოვიდა. გაცილებით უკეთესი იქნებოდა სისტემური მიდგომა და გარკვევა იმისა, ამ ქვეყანაში კრიზისები რამაც განაპირობა. კრიზისი განაპირობა არა 2004-მა წელმა, არამედ წინა პერიოდმა. აქ ლაპარაკია პოლიტიკურ, კონსტიტუციურ, სამხედრო დანაშაულებსა და მისი შედეგების ლიკვიდაციაზე, რაც ვერ ჩამოაყალიბა დღევანდელმა ხელისუფლებამ. სხვადასხვა ჯგუფი ვთავაზობდით რაღაც მოდელებს, მაგრამ, სამწუხაროდ, სამართლიანობის ათვლის წერტილად 2004 წელი აიღეს.

***– თუმცა 2008 წლის ომზე გამოძიება დაწყებულია. შესაძლოა, 2004 წლის წინა პერიოდის დანაშაულებზე გამოძიების განახლებას გარკვეული ჯგუფის მხრიდან საკითხის წინა პლანზე წამოწევა სჭირდება, რადგან ჯერჯერობით პროკურატურა ორიენტირებულია იმ საჩივრების რეაგირებაზე, რაც დღემდე შედის.***

– კი ბატონო, მაგრამ მომხდარ დანაშაულებს ვადა არ გასვლია. დანაშაული დანაშაულია, მით უმეტეს, მომხდარია სახელმწიფოებრივი, კონსტიტუციური, სამხედრო, პოლიტიკური დანაშაულები.

***– ამას ხომ არ სჭირდება პარლამენტის დადგენილება? 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებაზე არაერთი დადგენილებაა მიღებული, მაგრამ სამართლებრივ რეაგირებაზე მუდმივად თავს იკავებდნენ.***

– მსგავსი დოკუმენტის შექმნა ყოველთვის საჭირო იყო. მაგალითად, სამხრეთ კორეაში ეს გააკეთეს 18 წლის შემდეგ, როდესაც ჩონ დუ ხვანი და რო დე ვუ დააპატიმრეს, ხელმძღვანელები, რომლებმაც, სხვებისგან განსხვავებით, სხვათა შორის, ააყვავეს კორეა. მათ მოსთხოვეს პასუხი წინა დანაშაულების გამო. დაახლოებით იგივე მოხდა პერუში, როდესაც ფუხიმორი დააკავეს. პოლიტიკური სისტემისა და პერსონების გასამართლება მოხდა და შეიქმნა ახალი სამართლებრივი, პოლიტიკური და კონსტიტუციური სივრცე სახელმწიფოებრიობის სტაბილურობის შესაქმნელად. ამის თვითმიზანი ის კი არ არის, ვილაც დაიჭირო და დევნა დაუწყო ან ვილაცას ჩაუსაფრდე, არამედ ქვეყანაში აუცილებელია კანონის უზენაესობა, სამართლიანობის აღდგენა, რომელიც განაპირობებს სახელმწიფოს სტაბილურობას. ამ ფაქტორებს თავი უნდა მოვუყაროთ და საზოგადოება უნდა შეთანხმდეს კოორდინაციასა და აუცილებლობაზე.

***– თუ ეს მოხდება, რეალურ ეროვნულ თანხმობასაც გამოიწვევს, ალბათ.***

– რა თქმა უნდა. შემდგომ უკვე ახალი კონსტიტუციის მისაღებად მუშაობაა საჭირო. ეს ცალკე თემაა, განსაკუთრებული, იმიტომ რომ ეს პარლამენტი ფუნდამენტურ ცვლილებას კონსტიტუციაში ვერ შეძლებს. მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული ლიკვიდაციები შეიძლება მოახდინოს და უმნიშვნელო შესწორებები შეიტანოს. პარლამენტმა უნდა შექმნას ახალი კონსტიტუციის ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი, თორემ, ვისაც ასამართლებ, ვისაც იბარებ პროკურატურაში, ერთი პარლამენტარი არ მოდის, მეორე, მესამე, მეოთხე და ისინი არიან დამნაშავეების ლობისტები, დამნაშავეების ლობისტებმა ახალი კონსტიტუცია შესთავაზონ საზოგადოებას, ეს არის სრული ნონსენსი. არა მგონია, ეს პარლამენტი წავიდეს ამაზე. ბიძინა ივანიშვილს უმნიშვნელოვანესი პასაჟები ჰქონდა, განსაკუთრებით ფინანსურ, ეკონომიკურ და სხვა საკითხებზე. ძალიან გახსნილი დისკუსია იყო.

*– სააკაშვილის დადგმულ სპექტაკლებს არ ჰგავდა, სადაც კითხვები სანდო ჟურნალისტების მიერ შეთანხმებით ისმებოდა?*

– არა, იმიტომ რომ ბიძინა ივანიშვილმა უკანდასახევი გზები მოიჭრა იმ თვალსაზრისით, რომ სადღაც არ იმალება, ესმის პრობლემები და ოპონენტსაც და ხალხსაც სთავაზობს ამ პრობლემების ყოველმხრივ, ყველა რაკურსით განხილვას, კრიტიკას. რაც უფრო დაიხვეწება ეს მიდგომები, რაც უფრო აკუმულირებული იქნება სალი აზრი და შემუშავდება მექანიზმები, მით უფრო მოიგებს საზოგადოებაც მთავრობაც და ხალხიც.

## გიორგი ისაკაძე გამოძიებასთან თანამშრომლობას აპირებს

ბიზნესმენმა გიორგი ისაკაძემ, მოდულის შენობაში, დაკითხვაზე შესვლამდე განცხადება გაავრცელა, რომელსაც ნიუსპრესი უცვლელად გთავაზობთ:

„ჩემი დაკითხვის საკითხი ეხება კომპანია „ლოგოს“ და ამხანაგობა „თეთრი სახლი“'ს თემას, რომელიც კავშირშია ბანკ „ქართუს“ თან. ვაპირებ აქტიურად ვითანამშრომლო გამოძიებასთან ყველა დეტალზე, რაც უკავშირდება ბოლო წლების ურთიერთობას ბანკ „ქართუ“-ს ამ კომპანიებთან მიმართებაში, რომლებსაც ბევრი „სასიქადულო პარტნიორები ჰყავდა“, თუმცა ლეგალურად და ფაქტობრივად დღეს ეს თემა ჩემთან ასოცირდება.

ნებისმიერი შედეგის დადგომის მიუხედავად, როგორც არ უნდა დამთავრდეს გამოძიება, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ აქტიურ ბიზნესს თავს ვანებებ და ამის სამ ძირითად მიზეზს მოგახსენებთ:

1) მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მედიის საშუალებით, ლამის ერთადერთი ბიზნესმენი ვიყავი ბოლო 1 წლის მანძილზე, რომელიც ღიად თანამშრომლობდა მედიასთან, მათ შორის საგამოძიებო გადაცემებთან, ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას როგორც ამ კონკრეტულ პრობლემაზე, ასევე ბანკი „ქართუ“-ს თემაზე. მუდმივ კავშირზე ვიყავი ბანკის ახალ მენეჯმენტთან და არასდროს გავურბოდი (პირადად ვაქტიურობდი) მათთან ღია ურთიერთობას და კომუნიკაციას, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ მიმაჩნია ჩემთან ასოცირებული კომპანიების შემთხვევა, თვისებრივად განსხვავდება იმ კლასიკური სქემისგან, რაც განხორციელდა ბანკთან მიმართებაში, მე მაინც გარკვეული დანაშაული მიმიძღვის ბანკის წინაშე და მზად ვარ ამისთვის პასუხი ვაგო კანონის მთელი სიმკაცრით. ვსარგებლობ შემთხვევით, და ბოდიშს მოვუხდი ბანკი „ქართუ“-ს ყოფილ და ამჟამინდელ დამფუძნებლებს, ასევე დირექტორატს, ნებსით თუ უნებლიეთ შექმნილი პრობლემების გამო.

2) მეორე მიზეზი, რის გამოც ბიზნესიდან მივდივარ, გახლავთ ჩემთვის სრულიად გაუგებარი პიარი და განცხადებები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა რამდენიმე კვირის წინ, სადაც მხილებული ვიყავი, როგორც მონაწილე დანაშაულებრივი სქემისა და შემდგომ, ამის ტირაჟირება გაგრძელდა ბანკის მესვეურების მიერ. ბოლო აკორდი გახლდათ ინფორმაცია, რომ მე სხვა რამდენიმე კომპანიასთან ერთად, ბანკთან შევთანხმდი პრობლემის მოგვარებაზე. მე არ გახლდით საქართველოში ოჯახური პირობების გამო რამდენიმე ხანი. ვადასტურებ, რომ პირველად ვარ დღეს გამოძახებული საგამოძიებო სამსახურში და არც რაიმე შეთანხმებას ბანკ „ქართუსთან“ ადგილი არ ჰქონია. ვაპირებ აქტიურად ვითანამშრომლო გამოძიებასთან, და მგონია, რომ მხოლოდ ამის შემდგომ, რაც სასამართლო და სხვა წინარე საგამოძიებო პროცედურები იქნება გავლილი, იქნებოდა შესაძლებელი ჩემი დამნაშავედ ან სულაც კაციჭამიად შერაცხვა. მიმვმართავ შსს-ს და ბანკ „ქართუ“-ს, რომ უახლოეს დღეებში გამოასწორონ გამოძიების დასრულებამდე ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა ჩემი დანაშაულებრივი სქემაში მონაწილეობის გამოცხადების შესახებ, რითაც უხეშად დაირღვა როგორც უდანაშაულობის პრეზუმცია, მოხდა ბიზნესმენის შერჩევითი პრინციპით და გაუგებარი იარლიყების მიკერებით დასახელება. ასევე, წარმოუდგენლად მიმაჩნია, შსს-ს ამ შინაარსის განცხადების შემდეგ, სრულიად შელახული საქმიანი რეპუტაციით, გავაგრძელო ბიზნესის კეთება.

3) და ბოლოს – ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ აპოგეას მიაღწია კონფორმიზმა ბიზნესის მხრიდან. დეტალიზებას არ შევუდგები, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ სრულიად სხვადასხვა კალიბრის ბიზნესმენები ვართ, მე ვირჩევ რომ არ მქონდეს საზოგადოებაში სოციალური სტატუსი ბიზნესმენისა. ეს ჩემი პირადი არჩევანია. ვიდრე ბიზნესი არა ღირსების, არამედ დაცინვის ან კონფორმიზმის ალიტერაციაა“, – ნათქვამია გიორგი ისაკაძის განცხადებაში.

ნიუსპრესი

# იური ვაზაგაშვილი: „მოვუწოდებ შსს-ს, დამნაშავე თანამშრომლებისგან გათავისუფლდეს“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ჯაზუს“ ხელმძღვანელ იური ვაზაგაშვილთან

*— ზურა ვაზაგაშვილისა და მისი მეგობრების ჩაცხრილვა კორტებთან საზოგადოებისთვის პრინციპული საკითხია. ეს უნდა იყოს გამოძიებული. რა ეტაპზეა გამოძიება და ელოდებით რაიმე სიახლეს?*

— ზურას საქმის გამოძიება დაწყებულია. ცოტა ნელი ტემპით მიდის გამოძიება. მქონდა შეხვედრები მთავარ პროკურორთან, მის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილთანაც, გავიარეთ დეტალები. ჩვენ ეს საქმე გამოძიებული გვაქვს, შვიდი წელია, მეტი არაფერი გაგვიკეთებია, დეტალებზე თავს შევიკავებ, უამრავი თვითმხილველი გვყავს, ნაწილი წარვუდგინეთ პროკურატურას, ეტაპობრივად წარვუდგენთ მტკიცებულებას. ჩვენ მივდივართ მაღლა, პრეზიდენტამდე, ამის მტკიცებულებები გვაქვს. მოწმეებად გვყავს თვითონ შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები. შსს-სა და პროკურატურაში არის ბევრი ძველი კადრი, არიან წესიერი ადამიანებიც, მაგრამ სქემა ყველასთვის ნათელია, შსს ხვრეტდა ხალხს, ჩადიოდა სასტიკ დანაშაულს, პროკურატურა ამ საქმეებში ერთად იყო სამინისტროსთან. ეს იყო ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. ამ კრიმინალებიდან არ შეიძლება, ვინმე ისევ დარჩეს ამ სტრუქტურებში, დამნაშავე თავის თანამონაწილეს ვერ დასჯის. მე მივმართავ ძალოვან სტრუქტურებსა და მათ ხელმძღვანელებს, რომ მაქსიმალურად იმუშაონ, რათა დამნაშავე თანამშრომლებისგან გათავისუფლდნენ, თუ გვინდა, იმას მივაღწიოთ, რომ ქვეყანაში ნამდვილად აღდგეს სამართლიანობა. ნარკომანიაზე ვინც მუშაობდა, თვითონ არიან ნარკომანები. თუ ერთი დარჩა გარეთ, მეორე თანამშრომელი დარჩა თანამდებობაზე. ვინც დარჩა, თავის თანამონაწილეს ვერ დასჯის.

*— თქვენ მოუწოდებთ მთავარ პროკურორსა და შს მინისტრს, რომ ეს სტრუქტურები ძველი დამნაშავე კადრებისგან უნდა გაიწმინდოს?*

— დიახ, არის კიდევ სერიოზული ჯგუფი, რომლისგანაც გაწმენდა საჭიროა. ჩამოგითვლით, ვინ არის დარჩენილი. ჩემი საქმე გააყალბეს თენგიზ ხარებავამ, შაქრო ზაალიშვილმა, ვალერი ლაცუზბაიამ, რომელიც დღეს ისნის პროკურორია, ხარებავა ახლა გაუშვეს სამეგრელო-ზემო სვანეთში, ქალაქის პროკურორის მოადგილე ბესო თხელიძე თავიდანვე ჩართული იყო ჩვენს საქმეში. ზურას საქმე არის განზრახ მკვლელობა, დაზარალებულად ცნეს შს სამინისტროს თანამშრომლები და არა დახოცილების მშობლები.

*— ამ საქმეზე ვინმე არის დასჯილი? ჩვენ ვიცით, რომ ძიება მიდის ბუტა რობაქიძის საქმეზე, სანდრო გირგვლიანის საქმეზე იყვნენ დასჯილები უშუალო შემსრულებლები.*

— საერთოდ დასჯილი კი არა, დამნაშავეები და ვინც ჩაატარა ეს „სპეცოპერაცია“ და ვინც დახვრიტა უდანაშაულო ბიჭები, თვითონ მათი გამოძიებულია ეს საქმე. ეს ჩაატარა შსს-ს კრიმინალურმა დეპარტამენტმა, სპეცრაზმმა. კვინიკაძე და ფირცხალავა, რომლებიც ამას ხელმძღვანელობდნენ, იძიებდნენ ამ საქმეს. ერთმანეთი



ცნეს დაზარალებულებად. მანქანიდან სროლა განხორციელდაო, ჩვენ დავზარალდითო. არავითარი სროლა არ იყო, ბატონ სოზარ სუბარს აქვს ჩატარებული ალტერნატიული ექსპერტიზა, დღემდე ნივთმტკიცება ავტომანქანა შსს-ს ჰყავს. 2006 წლის 2 მაისს მოხდა ეს და დასაჯეს ერთი გადარჩენილი ამ სპეცოპერაციიდან, ფუტურიძე. უკნიდან ისროლესო, არადა, საერთაშორისო ორგანიზაციებს გავუგზავნეთ ნივთმტკიცებები. უკანა საქარე მინა იყო მთლიანი სპეცოპერაციის შემდეგ, ამის ფოტოებს გაჩვენებთ, მერე კი თვითონვე დაამსხვრიეს უკანა საქარე მინა. დედას, რომელსაც შვილი დაუხვრიტეს, ექსპერტიზის დასკვნა ხელით გადააწერინეს, ქსეროასლის საშუალება არა გვაქვსო, უთხრეს და დედას როცა გადააწერინეს, ექსპერტიზაში ეწერა, ზურა ვაზაგაშვილს თავში ნატყვიარების რაოდენობას ვერ ვადგენთ, ვინაიდან გვამთან ერთად არ არის წარმოდგენილი თავის ძვლის ნაწილებიო. ამას დედას რომ გადააწერინებ, ეს არ არის ფსიქოლოგიური ზეწოლა?

*— რატომ დაიგეგმა ეს სპეცოპერაცია კორტებთან, რა იყო ამის მიზანი?*

— თითქოსდა მიდიოდნენ საყაჩაღოდ ვარკეთილში. ამ დროს ტელევიზიით განცხადებას აკეთებდნენ, ამ სპეცოპერაციას ვინც ხელმძღვანელობდა, ფირცხალავა, ქადაგიძე, შოთა ხიზანიშვილი, ჩასაფრება იყო თითქოს ვარკეთილის მეტროსთან, იმ ოჯახთან, სადაც ეს ყაჩაღობა იყო თითქოს დაგეგმილი. შეამჩნიეს, რომ პოლიციელები მივდევდით და სროლა აგვიტეხესო. ამ დროს ქალბატონი ინგა გრიგოლია ეკითხება, იმ ოჯახთან მოგეწყოთ ჩასაფრებაო, ესენი პასუხობენ, იქ იყო ჩასაფრებაო, მაგრამ საბუთებში წერია, რომ 2006 წლის 6 ივნისს კიდევ არ იცოდნენ, რომელი ოჯახის დაყაჩაღებას აპირებდნენ. გვყავს მოწმეები, რომ ვეფხისა და მოყმის ძეგლთან სანამ მივიდოდით, მოვიდა ბრძანება, ამ ბიჭებს ლიკვიდაცია უნდა გაუკეთოთო, ჩვენ გავგიჟდით, ეს ბიჭები არაფერს აშავებდნენ და რა ლიკვიდაცია უნდა გაგვეკეთებინაო, ამას ამბობენ ეს მოწმეები. პროკურატურაში კადრების დეფიციტია და ამიტომ უჭირთ და ნელი ტემპით მიდის გამოძიება. ორი დღის წინ მომცეს პირობა, რომ დაამატებენ ორ ახალ გამომძიებელს. ეს ისეთი საქმეა, რომ ის ნელი ტემპით არ უნდა წასულიყო. მე ვიცი, რომ მივალთ მაღალი თანამდებობის პირებამდე და გავარკვევთ, რომ მთელი მაფია იყო, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა. ესენი ახალგაზრდობას წამლავდნენ. ყველა უბანში ცამეტ-თოთხმეტი წლის ბავშვებზე თავისუფლად იყიდებოდა ნარკოტიკები.

*— სააკაშვილის პერიოდში იყიდებოდა უბნებში ნარკოტიკები?*

— რა თქმა უნდა, აბა, ახლა, ღმერთმა დაგვიფაროს.

*— სკანდალური განცხადებაა, იმიტომ რომ პროკურორის ყოფილი მოადგილე, დავით საყვარელიძე, ახლა ის დეპუტატია უმცირესობიდან ის თავად კურირებდა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლას. არაერთხელ ჩატარებულა ღონისძიებები, საზოგადოების წარმომადგენლებსაც ხვდებოდა, ამბობდა, რომ მოხმარება შემცირებულია წინა წლებთან შედარებით.*

— შევარდნაძის ხელისუფლების დროს ყველამ იცის, რომ აჭარასა და პანკისში მზადდებოდა ნარკოტიკები. როცა ნაცმოძრაობა მოვიდა ხელისუფლებაში, ხელი არ დააკარეს ამ ადგილებს. თბილისი დაყოფილი ჰქონდათ უბნებად, საბურთალოს ნაწილი იყო გივი თარგამაძის, ნაწილი კოდუასი, კურირებდა თარგამაძე. მე ხმამაღალ განცხადებას ვაკეთებ. მფარველობდნენ ამ ბიზნესს. მომხმარებლების დიდი ნაწილი თავადვე იყვნენ. თუ ვინმე მტკიცებულებებს მოითხოვს, მთელმა საქართველომ იცის, საყვარელიძე რომ ამბობს, ვებრძოდითო, თავადვე ყველა იყო ჩართული ამაში და ხელმძღვანელობდა ამ ნარკობიზნესს. დამისახელონ, რამდენი ნარკომანია დაჭერილი და რამდენი ნარკორეალიზატორი? აჯარიმებდნენ და უშვებდნენ მომხმარებლებს, თვითონ ყიდდნენ, მომხმარებლებს იჭერდნენ და უშვებდნენ. რეალიზატორს არავინ იჭერდა. წყალტუბოს სათბურებიდან ამოიღეს ნარკოტიკი, ორი ჯგუფი ერთმანეთს დაუპირისპირდა და ამას მოჰყვა რეალიზაციის შემცირება. მარტო რობაქიძის, ზურასა და გირგვლიანის მკვლელობები კი არ უნდა იყოს გამოძიებული, არამედ ყველა მკვლელობა უნდა იყოს გამოძიებული, სამგორის მეტროსთან დაკოჟრილხელებიანი ბიჭები დახვრიტეს, თურქეთის პლანტაციებში მუშაობდნენ ბიჭები. ამაზე ხმას არავინ იღებს. თუ ამათ ჰგონიათ, რომ მარტო ზურას საქმეს გამოვიძიებთ და გავჩერდებით, ასე არ იქნება, არ ვაპირებ გაჩერებას. ყველა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. პანკისის ხეობაში რომ მოკლეს წკრიალაშვილი, მისი დედა იყო ჩემთან ჩამოსული. წკრიალაშვილის ძმა მიშას დაცვის სნაიპერი იყო, გაჭირვებული ოჯახია, პირადული ინტერესის გამო ეს საქმე არ უნდა აპატიო არავის.

*— ბოლო დროს სააკაშვილმა ისევ დაიწყო მუქარა და ახალი ხელისუფლების ლანძღვა, რასაც აკეთებდა არჩევნებამდე. რისი იმედი აქვთ, როცა ამბობენ, რომ აპრილში რაღაცას აპირებენ და ისევ მოვლენ ხელისუფლებაში?*

— მე ამის არ მჯერა, სააკაშვილი სამკურნალოა და ჩვენი საზოგადოების შეურაცხყოფაა, ასეთ პრეზიდენტს რომ ვიტანთ. ოპოზიციაში უდგას საკუთარ ხალხს. თავმოყვარე რომ იყოს სააკაშვილი, თვითონ უნდა გადადგეს. აგვისტოს ომის შემდეგ რომ ფორთხავდა ძირს და როცა ჩვენი შვილები მინდვრებში იხრწნებოდნენ, ამ დროს ტაშფანდური გაგვიმართა. სააკაშვილმა საკონსტიტუციო გადატრიალების გზით მოახდინა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უზურპაცია, ერთი პირის ხელში მოექცა უზარმაზარი ხელისუფლება, ხოლო კონსტიტუცია გახდა ფარატინა ქაღალდი. მან დაივიწყა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლით საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია, თვითონ ამ ხალხის დაქირავებული იყო და ხალხის წინაშე უნდა ყოფილიყო ანგარიშვალდებული. ქვეყნის ბიუჯეტი აქცია საკუთარ ჯიბის ფულად. ასეულობით მილიონი უაზრო პროექტებსა და გართობებში ფლანგა, საქართველოს მიწა-წყალი და წიაღისეული, სტრატეგიული ობიექტები საკუთარ საკუთრებად ჩათვალა და მიითვისა. ომი გამოუცხადა ყველაფერს ეროვნულს, დედაენას, დედაბუნებას, დედაეკლესიას, არც ერთი პროგრამა არც სიღარიბის დაძლევისა და არც სხვა არ შეასრულა. საკუთარ ხალხს აშინებდა და აშანტაჟებდა. მისი აღმშენებლობა იყო ფასადური, მოჩვენებითი. საზოგადოება დაყო თავისიანებად და მტრებად. ყოველივე ამის შემდეგ ჰყოფნის თავხედობა და ისევ აპირებს ხელისუფლებაში დაბრუნებას. მადლობა უთხრან ხალხს, რომ ქუჩებში დადიან, იმდენი საცოდაობა აქვთ ჩადენილი.

*— საზოგადოების ნაწილი სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერებს აგროვებს, მეორე ნაწილი პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისა ითხოვს, რომ ნაცმოძრაობას აეკრძალოს ათი წლით მაინც პოლიტიკური მოღვაწეობა. თქვენ ამ მოთხოვნებიდან რომელს უჭერთ მხარს?*

— მეც მაქვს ხელი მოწერილი მის გადადგომაზე. ხუთ იანვარს ხომ გადის მისი ვადა, წავიდეს, მოგვცილდეს. საზოგადოებამ უნდა ავიმაღლოთ ხმა და მოვითხოვოთ მისი წასვლა და არა პოლიტიკოსებმა. ნაცმოძრაობა არის ფაშისტური ორგანიზაცია, რომელსაც ათი წლით კი არა, საერთოდ უნდა აეკრძალოს პოლიტიკური მოღვაწეობა. ნაცმოძრაობაში ისეთი ხალხია, რომლებსაც სერიოზული დანაშაული აქვთ ჩადენილი. მადლობა უნდა გვითხრან, რომ თბილისის ქუჩებში დადიან. ნაცმოძრაობა ფაშისტური ორგანიზაციად უნდა გამოცხადდეს და აიკრძალოს.

# სოსო ცისკარიშვილი: „ნაციონალებს სიტუაციის შეფასების უნარი არ აღმოაჩნდათ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ბული იყო, რომელიც წინა წლებშიც მათ არაერთხელ დახმარებიათ ხელისუფლების შენარჩუნებაში. განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად ზურაბ ადეიშვილის შეთავაზებები იმის თაობაზე თუ როგორ უნდა დამახინჯებულიყო შედეგები, არ იქნა გაზიარებული, რადგან საერთაშორისო მონიტორინგი იყო ძალიან აქტიური. რაც მთავარია, აქტიური იყო ქართველი ხალხი. შესაბამისად, არც დენი გამოთიშულა საათობით, არც ინტერნეტი გამქრალა რაიმე საბოტაჟის გამო და პასუხად მივიღეთ გამარჯვებული ქართველი ოცნება და ქვეყნიდან გაპარული ადეიშვილი. ეს ნამდვილად ურთიერთდაკავშირებული ფაქტებია და ამიტომ ვიხსენიებ მათ ერთად.

*— ბატონო სოსო, საზოგადოება საგრძნობლად გააქტიურდა, განსაკუთრებით სააკაშვილის მუქარანარევი განცხადებების შემდეგ და მოითხოვენ მის გადადგომას, რადგან 5 იანვარს მას ეწურება საპრეზიდენტო ვადა. თქვენი აზრით, რაიმე შედეგს გამოიღებს საზოგადოების აქტიურობა?*

— ჩემი აზრით, ეს კვლავ ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს გახდეს წინა პირობა პრეზიდენტის გადადგომისა. თუმცა ყველა საკითხში, რომელიც დაპირისპირებული პოზიციების გამო შეჯერებას მოელის, შესაძლოა აქ საუბარი იმაზე, რომ კონსტიტუციური ცვლილების შემთხვევაში როგორც გამოკლებული პარლამენტის დეპუტატის არჩევა გახდა შესაძლებელი აპრილის თვეში, ასევე აპრილის თვეში იყოს ვადა გასული პრეზიდენტისთვის გადადგომის აუცილებლობა. ამ შემთხვევაში ეს გარკვეული კონსენსუსი იქნება და იმედი მაქვს, ამას დასავლეთი კოჰაბიტაციას დაარქმევს და ამით თავს დაიმშვიდებს.

*— ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს რაც შეეხება, საუბარია, რომ ნელ-ნელა დაიწყო დანაპირების შესრულება, როგორც სამართლიანობის აღდგენის კუთხით ისე ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით. მართალია უმცირესობამ ცინიკურად განიხილა ტარიფების კლება, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლება თავისას ცდილობს. თქვენ რას ელით მომავალი წლიდან?*

— ჩემთვის უპირველეს ყოვლისა სანდოა ის თემები, რომელზეც საუბრობს ახალი ხელისუფლება. უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების მოთხოვნაზე სამართლიანობის აღდგენის შესახებ. ეს პროცესი მიდის, თუმცა ცხადია, რესურსები ბევრად ნაკლებია იმ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, რომელიც ათასობით განცხადებით არის გამოხატული. პროკურატურა და იუსტიციის სამინისტრო ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა არჩევნებამდე, რომ ასეთი რაოდენობის საქმის გარჩევის აუცილებლობა ექნებოდათ მათ. შესაბამისად მეორე მხარის საუბარი იმაზე, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა, ეს შეიძლება მეტნაკლებად დამაჯერებელი აღმოჩნდეს მხოლოდ უკიდურესად გულუბრყვილო და საქმეში ჩაუხედავი ჩვენ დასავლელი მეგობრებისთვის. სხვაგვარად პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრებ რიგით მოქალაქესაც ძალიან კარგად წარმოუდგენია, რას ნიშნავს ხელისუფლების მიერ უკანონობის ჩადენა. რადგან საქართველო ამ სივრცეში გამონაკლისი არ იყო. მართალია შეიძლება ასეთი დახვეწილი სადისტური მეთოდები ფართოდ არ გამოიყენებოდა ამ სივრცეში, მაგრამ არც სხვა ქვეყნებში გვეგულება ანგელოზები ქვეყნის სათავეში. ამიტომ ასეთი მიდგომით, რომ ჩვენ მაინცდამაინც ახლა და ამ წუთას უნდა გავასწოროთ ორ-სამწლიანი უკუსვლის ფაქტი თავად ქართული კონსტიტუციის, მე მგონი ვერ იქნება მიღწეული. რა თქმა უნდა, სამართლიანობის აღდგენის მომენტი უნდა გაგრძელდეს, მაგრამ არ უნდა გაიჭიმოს დროში. შესაბამისად უნდა მოხდეს დახარისხება ამ საკითხებისა, პოლიტიკური ზეწოლის საკითხები უნდა განცალკევდეს ქონებრივი დავების საკითხებისგან და უნდა იქნეს შესაძლებელი ახალი საკადრო ჯგუფების შექმნა, რომლებიც თემატურად იმუშავებენ ამ საკითხებზე და უფრო დამაჯერებელი იქნება არგუმენტები უკვე წინასწარი აღმკვეთი ღონისძიების მოთხოვნისას, პროკურატურის მხრიდან.

*— ბატონო სოსო, რა ეშველება სასამართლოს? ახალი ხელისუფლება საუბრობს, რომ სასამართლო კვლავ ნაციონალების ტყვეობაშია...*

— არ უნდა მაგას ახალი ხელისუფლების საუბარი, ვინც ოდნავ თვალყურს ადევნებს პროცესებს, ეს მათთვის სიახლე არ გახლავთ. როდესაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი 2012 წლის ოქტომბერში ალაპარაკდა იმაზე, რომ სასამართლო განიცდის ზეწოლას, თურმე წინა 9 წლის განმავლობაში ასეთი ფაქტი არ ყოფილა, რაც გვიდასტურებს მხოლოდ ერთს, რომ ბატონ კუბლაშვილს ძალიან სიამოვნებდა ნაციონალური მოძრაობის ზეწოლის ქვეშ წოლა და ახლა უკვე დისკომფორტს განიცდის. ვფიქრობ, რომ ამ ნიჭიერმა ადამიანმა ძალიან ფუჭად გახარჯა 7 წელი და ძალიან გაუჭირდება მას დაიბრუნოს კვალიფიცირებული იურისტის სახელი. სასამართლოს ეშველება მაშინ, როცა ეშველება იუსტიციის საბჭოს. ამიტომ არის გულგახეთქილი კოტე კუბლაშვილი, რომ იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების არსებული წესი შეიძლება შეიცვალოს უფრო დემოკრატიულით. ამაში იქნება გამოსავალი სასამართლოს გონზე მოსაყვანად.

ასეთი დაძაბული წლის შემდეგ ვისურვებდი, რომ ქართველ საზოგადოებას და ახალ ხელისუფლებას ეპოვოს ძალა საკუთარ თავში იმისათვის, რომ 2013 წელი იყოს ქვეყნის პერსპექტივაზე სერიოზული დაფიქრების და სერიოზული კონსენსუსის წელიწადი. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ საკუთარ გეოპოლიტიკურ პოტენციალს. უნდა ვეცადოთ, აღვიდგინოთ საკუთარი ფუნქცია ჯერ სამხრეთ კავკასიაში და მერე უკვე შევთავაზოთ მსოფლიოს საკუთარი უნარები, გამომდინარე ჩვენი შესაძლებლობიდან, რომელიც ხელმიუწვდომელია ბევრი სხვა ქვეყნისთვის, რომ იყოს დიალოგის პროცესში, როგორც ჩვენ სამხრეთ კავკასიელ მეზობლებთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, ასევე რეგიონში ჩვენს სამეზობლოსთან, იგივე თურქეთთან, ირანთან, რუმინეთთან, უკრაინასთან და შესაბამისი დონით რუსეთთანაც. არ არის გარშემო არსებული დაპირისპირებებით დახუნძლული სიტუაცია იმდენად მარტივი, რომ შეეძლოთ ნეიტრალური პოზიციიდან კომუნიკაცია დაპირისპირებული ქვეყნების გარემოცვაში.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ვინ აღადგენს სამსახურში პოლიტიკური ნიშნით დევნილ პედაგოგებს?

მერი ნამორაძე

**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური კომისია, რომელიც სამინისტროს, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, იმ პირთა დავებს სწავლობს, რომლებიც საკუთარ თავს პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლებულად მიიჩნევენ. კომისია პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების მხოლოდ იმ შემთხვევებს განიხილავს, რომელთაც ადგილი ჰქონდა 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე, ანუ 2012 წლის დეკემბრამდე.**

გუშინ საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე ალუდა გოგლიჩიძემ კომისიის მუშაობის შედეგებზე საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა.

როგორც გოგლიჩიძემ აღნიშნა, ამჟამად კომისიის სახელზე ათასამდე განცხადებაა შემოსული. განცხადების შემოტანის საბოლოო ვადად ადრე თუ 31 დეკემბერი სახელდებოდა, ამჟამად ეს ვადა 14 იანვრამდეა გაგრძელებული. თითოეულ განცხადებას კომისიის წევრები ინდივიდუალურად განიხილავენ. ამ ეტაპზე განხორციელდა 150 განცხადების პირველადი განხილვა. განცხადებების უმრავლესობა ზედაპირულია და არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც დასკვნის გაკეთების საშუალებას მისცემდა კომისიის წევრებს. როგორც აღინიშნა, საჭიროა მეტი მტკიცებულებების წარმოდგენა, რათა კომისიის წევრებმა, რომელშიც 8 არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული, შესაბამისი დასკვნები გააკეთონ:

– ეს არის სამართლის დადგენის მცდელობა. გადაწყვეტილება იქნება პოლიტიკური და არა სამართლებრივი, – განაცხადა გოგლიჩიძემ. მუშაობის საწყის ეტაპზე სწორედ სამართლის დადგენა მოხდება, მართალია, ადამიანებს სამართლის პოვნა ეჩქარებათ, მაგრამ გოგლიჩიძე ამბობს, რომ სამინისტრო ვერ უღალატებს პროცედურული დემოკრატიის პრინციპს. ამიტომ სამართლის ძიება დროს მოითხოვს.

„ახალი თაობა“ კომისიის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაესაუბრა:

**ასოციაცია „სკოლა, ოჯახი, საზოგადოება“ აღმასრულებელი დირექტორი ლაშა მკურნალიძე:**

*– ბატონო ლაშა, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შემოსული განცხადებები ზედაპირულია. რატომ მოხდა ასე, პედაგოგები იურისტთა დახმარებას საჭიროებდნენ თუ სხვა მიზეზი არსებობს?*

– რომ დავაზუსტოთ, დებულება ვიდრე შეიქმნებოდა და სანამ გაჩნდებოდა კომისიის შექმნის აუცილებლობა, მანამდე უკვე საკმაოდ ბევრი განცხადება იყო შემოსული არჩევნების შემდგომ პედაგოგებისა და განათლების სისტემის სხვა მუშაკებისგან, რომლებიც თავიანთი დარღვეული უფლების აღდგენას ითხოვდნენ. შესაბამისად, ამ პერიოდისთვის არ არსებობდა დებულება, არ იყო გაწერილი, როგორ რეჟიმში იმუშავებდა კომისია, რა მტკიცებულებები და განცხადებები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

*– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ზოგიერთისათვის განცხადების შეტანა თავიდან გახდება საჭირო?*

– არა, არ მოუხდებათ განმეორებით შემოტანა. კომისიამ იმსჯელა, განცხადებების პირველადი შეფასება გააკეთა. უბრალოდ, ჩვენ მოვთხოვეთ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების დაზუსტება, მტკიცებულების სახით წარმოდგენა.

*– შეგიძლიათ დაასახელოთ, როგორ ფორმულირდებოდა გათავისუფლების მიზეზი?*

– კომისიის მუშაობა კონფიდენციალურია და საბოლოო დასკვნა, რა თქმა უნდა, საჯარო იქნება. ზოგადად რომ ვთქვათ, მაგალითად, განცხადებაში მოყვანილია, რომ იყო ზეწოლა სკოლის დირექტორისგან პედაგოგის იმ მიმართ, რომელიც ხშირად გამოხატავდა დამოკიდებულებას მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ან პოლიტიკურ შეფასებას აძლევდა მიმდინარე მოვლენებს. ეს ხდებოდა სამასწავლებლოში, პირად საუბრებში, ეს ინფორმაცია მიდიოდა დირექტორის ყურამდე, რასაც მოჰყვა სამსახურიდან გათავისუფლება. გათავისუფლება ხდებოდა შრომის კოდექსის ავადსახსენებელი 37-ე მუხლით, თუმცა რეალურად მიზეზად ედო სხვა გარემოება ანუ ამ კონკრეტული ადამიანის დამოკიდებულება გარკვეული მოვლენების მიმართ. ამის დაზუსტება არ შეგვიძლია მიკერძოებით, მხოლოდ ამ ადამიანის განცხადებით. ამას სჭირდება პედკოლექტივის, თანამშრომლების მიერ დადასტურება. ასევე არის შემთხვევები, როდესაც რაიონის მოქმედი დეპუტატი, გამგებელი კონკრეტული დავალებით, კონკრეტული მისიით მოდიოდა სკოლაში და ახდენდა ზეწოლას. ამასაც სჭირდება, სულ მცირე, დაზუსტება.

*– რა შედეგი შეიძლება დადგეს კომისიის დასკვნის შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტს სამსახურიდან დათხოვნილის აღდგენის საკითხს?*

– საბოლოო ჯამში, კომისია შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ჩვენ ვერ გავცდებით მოქმედ კანონმდებლობას. რეკომენდაციის საფუძველზე სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში მიიღებს თავის გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებები იქნება ინდივიდუალური, გააჩნია, როგორი ქეისი იქნება, როგორი სიტუაცია იქნება. არ გამოვრიცხავთ ისეთ ვარიანტს, რომ მოხდეს სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

**მაია ლიპარტელიანი, სამოქალაქო ინიციატივებისა და დასაქმებულთა დაცვის ასოციაცია:**

*– ქალბატონო მაია, სკოლებში პოლიტიკური ნიშნით დევნის მაგალითებს თუ დაგვისახელებთ, რა სახით ხდებოდა დევნა?*

– მაშინ, როცა კომისიას საქმიანობის კონკრეტული შედეგი ჯერ არ დაუდია, გამიჭირდება გითხრათ, რა სახის ქმედებები შეიძლება ჩაითვალოს დევნად. ყველა შესაბამისი ფაქტის შესწავლის შემდეგ, თუ რა გარემოებაში, რა სიტუაციაში, ვისი მხრიდან მოხდა და ასე შემდეგ, კომისია შეიმუშავებს კრიტერიუმებს. ძალიან ძნელია კონკრეტული, გაზომვადი კრიტერიუმების დადება, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ დევნად. ამ ეტაპზე განმცხადებლების მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით თუ ვიმსჯელებთ, უმრავლეს შემთხვევაში უთითებდნენ, რომ ზოგან ერეოდა გამგებელი, ზოგან – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, ადგილი ჰქონდა დაბარებას, ზეწოლას და ასე შემდეგ. კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ ეს არ არის დადასტურებული ფაქტი ამჯერად, არის განმცხადებლების მიერ მითითებული ინფორმაცია. გესმით, ალბათ, რაოდენ დიდია კომისიის წევრების პასუხისმგებლობა. საზოგადოებას სამართლიანობის აღდგენის ძალიან დიდი მოლოდინი აქვს, ამიტომ, რაიმე შეცდომა რომ არ დავუშვათ და, როგორც გაცხადებულია, ერთი ძალადობა მეორით არ ჩავანაცვლოთ, სწორედ ამიტომ არის საჭირო საქმის შესასწავლად გარკვეული დრო, თუ რა ვითარებაში, რა სიტუაციაში, კონკრეტულად ვინ დაიბარა, რა უთხრა, რა სახის ზეწოლას ჰქონდა ადგილი და ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ კონკრეტული ფაქტები, რაც პოლიტიკურ დევნად ჩაითვლება.

*– გათავისუფლების გადაწყვეტილების მიღების მოტივად რა სახელდებოდა დირექტორთა მიერ?*

– სამართლებრივი კუთხით თუ გაინტერესებთ, გათავისუფლების ბრძანებაში არის შრომის კოდექსის ის მუხლი, სადაც ხელშეკრულების დარღვევაზეა მითითებული, არის ავადსახსენებელი 37-ე მუხლის „დ“ პუნქტი, რომლითაც ნებისმიერი საფუძვლით, თუნდაც უსაფუძვლოდ შეიძლებოდა გაეთავისუფლებინათ სამსახურიდან. უმეტესად ასეთი შემთხვევებია. საზოგადოებას მოეხსენება, როდესაც ამ მუხლის „დ“ პუნქტით ათავისუფლებდნენ ადამიანს, მათმა ნაწილმა მიმართა სასამართლოს და, სამართლებრივად როცა შეისწავლეს საქმე, სასამართლომ არ აღადგინა ეს ხალხი სამსახურში. ამიტომ კომისიას ორმაგი პასუხისმგებლობა აქვს. ჩვენ, ერთი მხრივ, ვერ შევიჭრებით სასამართლოს ფუნქციაში, მეორე მხრივ, უნდა დავადგინოთ ის სიტუაცია, რომელშიც ეს მოხდა. ამიტომ მივეცით დრო განმცხადებლებს, რომ დამატებითი მასალები, მტკიცებულებები, რაც მათ მიერ მითითებულ გარემოებებს დაადასტურებს, წარმოადგინონ, რათა არ მივიღოთ ცალმხრივი გადაწყვეტილება.

**ლია მუხაშავრია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი:**

– ასეთი კომისიების მუშაობის გამოცდილება არ არსებობს, ამიტომ ჩვენ ძალიან დიდი გულისხმიერებით, ყურადღებით, ფრთხილად ვეკიდებით თითოეული საკითხის განხილვას, თანაც რთულია პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტის დადგენა და შესაბამისი დასკვნის მომზადება. მაგრამ ეს დასკვნები იქნება საჯარო, აუცილებლად გაეგზავნება მომართვის ავტორს. რაც შეეხება კომისიის მუშაობას, ის მოსაზრებები, რომლებიც კომისიის სხდომაზე გაკეთდება, არის კონფიდენციალური და მინდა ვთხოვო განმცხადებლებს, ნუ მოგვმართავენ ინდივიდუალურად. ამ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის გამო გამოვეთიშებით კონკრეტული საკითხის განხილვას, რომლის გამოც ინდივიდუალურად მოგვმართეს. დანარჩენ შემთხვევებში ჩვენ შევეცდებით, პერიოდულად მოვაწყოთ ღია კარის დღეები, განვმარტავთ, რა დოკუმენტაციას ვითხოვთ, როგორ უნდა მოხდეს ამ დოკუმენტაციის წარმოდგენა და შევეცდებით, მაქსიმალურად შევუწყოთ ყველას ხელი, გააკეთონ განცხადება, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნა.

შემოსული განცხადებების მიხედვით, გათავისუფლების მიზეზად ოფიციალურად სახელდებოდა ხან გენინსპექციის დასკვნა, ხან უბრალოდ ბრძანება გათავისუფლების შესახებ ან რეორგანიზაცია, ან არის პირადი განცხადება, რომელიც გაკეთდა ზეწოლისა და ძალადობის პირობებში. ეს გარემოებები უნდა გამოვიკვლიოთ.

*– საბოლოოდ საქმე ისევ სასამართლომდე მივა?*

– არა, საქმე სასამართლომდე არ მივა. ჩვენი დასკვნა და რეკომენდაცია გახდება საფუძველი, რომ სამინისტრომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება აღდგენის შესახებ. შესაძლოა, რეკომენდაცია გავცეთ, რომ დანაშაულის ნიშნები დავინახეთ კონკრეტულ შემთხვევაში და მიემართოს საგამოძიებო ორგანოებს ან დავინახოთ ვილაცის გადაცდომა და სადისციპლინო და ადმინისტრაციული წესით უნდა მოხდეს რეაგირება. ეს იქნება კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებსაც შესაბამისი რეაგირება უნდა მოჰყვეს. ასეთია ჩვენი შეთანხმება სამინისტროსთან.


ლია მუხაშავრია

# რა ღირს ქოთანი შროშაში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბული ხელფასით წავსულიყავი და ცხვირი მაინც დამესველებინა ზღვის წყლით. მერე ცხოვრება გახდა „სვეცკური“ და მაღალმა ფასებმა ზღვიდან ჩემივე სოფლის ტბორამდე ჩამომაქვეითა.

სამაგიეროდ ოქროთი მოვარაყებულმა სომხებმა აითვისეს ურეკი, ქობულეთი და ბათუმი. და მარტო მაგათ აითვისეს? მუქი კანის ფერისანი ზოგი არაბი იყო, ზოგიც–თურქი და ყაზახი. ახლა არავინ ჰომოფობია არ წამომაყვედროს, ეგ არც მიფიქრია! თუ ჩემი გურული ან აჭარელი თანამოქალაქე ჩაიჯიბავს ფულს, არ მეწყინება. მით უფრო, ხომ თქვა რომის ერთმა იმპერატორმა: ფულს სუნი არ ასდის!

იმერეთის ერთი პატარა, გორაკებს შორის გაჩხირული სოფელი „მიწის გამყიდველობით“ ირჩენს თავს. შროშა, აკაკის თქმით,საწერეთლოში მე-19 საუკუნეში ქათმით ყოფილა განთქმული. მერე ქათამს თიხა ჩაენაცვლა.

შროშელებმა სსრკ-ს დანგრევამდე დაანგრიეს კოლექტივი. ბაღისხელა სოფელში თიხის ჭურჭლის წარმოების გარდა არაფერი იყო შესაძლებელი და თვით უკომპრომისო კომუნისტებიც კი დათანხმდნენ შროშელებს „ფინგანთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მიწა მოერჩიათ მეთუნეობისთვის და გაეყიდათ დოქ-ჭინჭილა – კეცად ქცეული თიხა.

შროშას ყველაზე კარგი პერიოდი მაშინ უდგება, როცა დამსვენებლები ბრუნდებიან სახლებისკენ. ერთხელ საათიანი დაკვირვების ქვეშ მოვაქციე შროშის „ბაჭას ბოგირი“, სადაც თიხის ნაწარმს ყიდის ადგილობრივი მოსახლეობა. აგვისტოს ბოლო იდგა. დამქანცველი სიცხე კბენდა თიხის ჭურჭელზე თვალმიბჯენილ მეთუნეებს.

დასავლეთიდან მომავალი შავი მერსედესი გაჩერდა. ყველა შროშელი გამოცოცხლდა და ატეხეს პატარა კენჭებითა და ლითონის ნაკუწებით თიხაზე კაკუნი: აქაოდა, ნახეთ, რა კარგი ხმა აქვსო. მღერის თიხა ვითომ? საბუდარელებს და შროშელებს თუ დავუჯერებთ–მღერის კი არა,მეტს შვრება კიდეც!

მანქანიდან ზლაზვნით გადმოვიდა თეძოგანიერი მანდილოსანი და ბიუსტის ქნევით ტუალეტს მიაშურა. საპირფარეშოს კარებზე დიდი ასოებით ეწერა „20 თეთრი“, ქალის გამოჩენამდე კაცმა ამაყად მოიშიშვლა მკერდი და „დააპრეზენტა“ ოქროს ჯვარი, რომელის ტარებასაც მხოლოდ ასეთი კისრის პატრონი თუ შეძლებდა. ქალი აშკარად კმაყოფილი სახით გამოვიდა ტუალეტიდან და ფეხებში მოჰყვა შროშელი ქალის მოძახილი: „ეს ამოსაწყვეტი ფულს არ იხდის?“

უცებ მოიღრუბლა. უკვე ცოლ-ქმარი ჭურჭელს ზვერავდა და წვიმის წვეთები გადმოცვივდა. ქალს კაცმა უთხრა:

– ანძრევ!

ყველა შროშელის სახეზე გაკვირვება დაიხატა. ესენი უცხოელები ეგონათ, ზრდილობიანი და ფულიანი კასტა. უკვე გაკვირვების სამი საფუძველი იყო:

1. არ ყოფილან უცხოელები.

2. ფულს არ იხდიან ტუალეტით მომსახურებისას.

3. უზრდელები იყვნენ,სახალხოდ ისეთი სიტყვა თქვეს, რომელსაც ქუჩის ბიჭებიც ვერ იტყვიან სახალხოდ.

მე სახე ღიმილმა მომიქცია და ვუთხარი, რომ ეგ სიტყვა სომხურია და წვიმაზე თქვეს-მეთქი.

ამოისუნთქეს შროშელებმა. ესე იგი, უზრდელები არ არიან და თან სომხები ფულიანები არიან და იქნებ

მეთუნე ქალს მიადგნენ და საყვავილე ქოთანს დაუწყეს თვალიერება.

– სკოლკო ეტო სტოიტ?

მეთუნე მიხვდა, ფასს რომ ეკითხებოდნენ და მიაძახა:

– ოცი ლარ!

სომხებმა გადახედეს ერთმანეთს გაკვირვებით. დანგრეული რუსულით ვუთხარი, რომ ქოთანი სადგამით 20 ლარი ღირს-მეთქი. გაქსუებულმა კაცმა დაიღრინა, გაყიდვა თუ უნდათ, რუსული არ უნდა იცოდნენო?

– ეტი ლიუდი ჟივუტ ვ გრუზიი! –გამოვუნმინდე ლინგვისტური ინტელექტის დაბალი დონე შროშელებს.

სომეხმა დედაკაცმა ვითომ აქაც არაფერიო და სხვას მიადგა. მომდევნი ქოთანი უფრო დიდი და მოჭვარჭვალებული იყო რაღაც უცნაური ფიგურებით. ქალმა ინტერესით დაატრიალა საყველე დერგისოდენა ქოთანი. გამყიდველი მიხვდა, რომ ქალს ეს ქოთანი მოეწონა და ოცნების ზედა ზღვარი – 50 ლარი დაუფასა.

გადაიხადეს.

მეთუნემ საჩქაროდ ჩაიტენა წინსაფრის ჯიბეში ფული, თითქოს დანარჩენების შურიანი თვალი არ ჩაჰყოლოდა მიწისფერ ჯიბეში.

სომეხმა მერსედესში ჩასკუპებამდე ქალს „ინჩუ ჰამარ“ უთხრა, მერე „ჭკუა დამარიგა“, ამათ რუსული ასწავლე, გაისად ბევრი სომეხი ჩამოვდივართ და თარჯიმნად სულ შენ ხომ არ იქნებიო.

რაღაც სამაგიეროს გადახდის სურვილი მომეძალა და ვკითხე:

– ვი ზნაეტე ანგლიისკიი იაზიკ?

მიუხედავად იმისა, რომ წვიმის წვეთები სახეზე ეცემოდა, ჭარხლისფერი დაედო უცებ და „გუდ ბაი“მომაძახა. მერე კარებიც მიიბრეხვა ისე, ალბათ მთელი თავისი ნერვული სისტემა შიგ მოაქცია.

მერსედესმა უხმაუროდ დატოვა თიხოსნებით ახუნძლული ადგილი.

50 ლარით ბიუჯეტშევსებულმა ქალმა დული დაარღვია და მადლობა მითხრა.

ახლა მხოლოდ ის მაინტერესებს, რამდენი შეცდომა დავუშვი რუსულად ჭიკჭიკის დროს? და კიდევ–წელსაც „ოცი ლარ“ ღირს ქოთანი შროშაში?

**როლანდ ხოჯანაშვილი**

**„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო**

# სრკ-სა და იუნისეფის ახალი ერთობლივი პროექტი

ამა წლის ივნისში ლონდონში გაიმართა საქართველოს რაგბის კავშირისა და „იუნისეფის“ პირველი ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია, რომელიც ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებაში ხორციელდება. პროექტმა საერთაშორისო კონკურსზე „სპორტს მიღმა“ დიდი მოწონება დაიმსახურა, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ „იუნისეფი“ კიდევ უფრო გააღრმავებდა თავის ურთიერთობას საქართველოს რაგბის კავშირთან.

სწორედ ამ მიზნით 26 დეკემბერს შევარდენის სანაკრებო ბაზაზე საქართველოს რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფი შეხვდა საქართველოში „იუნისეფის“ თბილისის ოფისის წარმომადგენელ დავით ღვინერიას.

შეხვედრაზე განიხილეს „იუნისეფისა“ და საქართველოს რაგბის კავშირის შემდგომი თანამშრომლობის საკითხები, გადაწყდა, რომ სრკ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს „იუნისეფის“ პროექტში, რომელიც ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ არის მიმართული.

დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სრკ-ის განვითარების ჯგუფის წევრების მიერ სპეციალური ტრეინინგების გავლასა და შემდგომ მათ აქტიურ მონაწილეობას ძალადობის მსხვერპლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის პროექტებში.

მ. ჟ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მურმან ჯინორია ბრენდ-პერსონაა

ეკა ირემაშვილი



მურმან ჯინორია ახალგაზრდობაში

ქართული ბრენდის დღეს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში" საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტომ „პროფილი" წარმოადგინა რიგით მეათე ქართული ბრენდების დაჯილდოების ცერემონიალი „ქართული ბრენდის დღე 2012". პროექტში „ქართული ბრენდის დღე" მონაწილეობდნენ ქართული ლიდერი კომპანიები და წარმატებული ახალი ქართული ბრენდები. „პროფილი კვლევის" მიერ გამოვლენილ იქნა გამარჯვებულები ხუთ ნომინაციაში: ლიდერი, რეპუტაცია და ნდობა, ახალი ქართული ბრენდი, წარმატებული ტელეპროექტი და ბრენდ-პერსონა.

– ჩვენი დიდი მონდომებისა და ძალისხმევის შედეგად, „ქართული ბრენდის დღე" ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად ჩამოყალიბდა. მინდა, განვაცხადო, რომ სამომავლოდ დაგეგმილია მთელი რიგი სიახლეები, რაც პროექტის წინსვლას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს, – აღნიშნა საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის" საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა ელგუჯა მარლიამ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილი" 2003 წელს დაარსდა. მისი დამფუძნებლები არიან მანანა გეგიძე და ელგუჯა მარლია. „იმიჯი და რეპუტაცია – ეს შენი უმნიშვნელოვანესი კაპიტალია" – ასეთია საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტოს „პროფილი" მონოდება. როგორც სააგენტოს ერთ-ერთი დამფუძნებელი მანანა გეგიძე აცხადებს, „პროფილი" არის ლიდერი კომპანია ქართულ პიარ ბაზარზე. მის წარმატებებზე მეტყველებს სააგენტოს ყოველდღიური განვითარება, მრავალ ცნობილ ბრენდთან და პარტნიორთან ხანგრძლივი ურთიერთობა, თვალსაჩინო შედეგები და ინოვაციური პროექტები.

– ამ პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართული ბრენდების ფორმირებასა და პოპულარიზაციას შიდა და გარე ბაზარზე, ასევე კომპანიებს შორის არსებული კონკურენციის ჯანსაღი მეთოდების და ტექნოლოგიების დამკვიდრებას, ეთიკური ბიზნეს გარემოს არსებობას, კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებას, ქართულ ბიზნესში მიმდინარე პოზიტიური პროცესების მხარდაჭერასა და საზოგადოებისათვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდებას. ბრენდების დაჯილდოების ყოველწლიური კონკურსი მრავალ ქვეყანაში პოპულარობით სარგებლობს და ყველგან წარმატებულია. სწორედ, ამ ფაქტმა გვიბიძგა პროექტის ავტორებს, საქართველოშიც აღგვენიშნა ეროვნული ბრენდების დღესასწაული. „ქართული ბრენდის დღეს" 2003 წელს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პირველი ღონისძიება სალონური ტიპის გახლდათ და მასში მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიები მონაწილეობდნენ. მას შემდეგ, „ქართული ბრენდის დღე" ყოველწლიურად ვითარდება და ფართო მასშტაბებს იძენს, – აცხადებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის „გენერალური დირექტორი მანანა გეგიძე.

მისივე თქმით, შეფასების კრიტერიუმები „პროფილმა" მარკეტინგული კვლევებითა და პიარგაზომვებით დაადგინა.

– „პროექტი მართლაც გამორჩეულია, რასაც მონაწილე კომპანიების, ექსპერტების, ბიზნესმენების და საზოგადოებრივი აზრის ლიდერების დადებითი განწყობა და ასევე მედია და სხვა სახის გამოხმაურებები ადასტურებს, – აღნიშნავს მანანა გეგიძე.

წელს ქართული ბრენდის დღეს გამარჯვებულები ნომინაციაში „ლიდერი" გახდნენ ფარმაცევტული კომპანია „პესპე ჯგუფი", კომპანია „ემბავუდ ჯორჯია", „წყალი მარგებელი" ბრენდისათვის „ნაბეღლავი", გაზეთ „პრაიმტაიმის" პრესკლუბი, კომპანია „მარი გოლდი", კუზანოვის კლინიკა, კომპანია „ალბატროსი", კომპანია „ბაგრატიონი 1882", სილამაზის სალონების ქსელი „ნატალი", კომპანია „თელავის ღვინის მარანი" – ბრენდისათვის „სატრაპეზო", „საქართველოს ბანკი", კომპანია „გეოპლანტი" – ბრენდისათვის „გურიელი", „რადიო საქართველო" – ბრენდისათვის „ფორტუნა" და „ბასტი ბუბუ".

ნომინაციაში „წარმატებული ტელეპროექტი" დასახელდნენ „პროფილი" და „იმედის გმირები". ნომინაცია „რეპუტაცია და ნდობა" მოიპოვეს კომპანიებმა „ჰეალაინ ინტერნეიშნლი", „კარდუ" – კოსმეტიკური ბრენდისათვის „კოლხური", დავით გაგუას კლინიკა, სტუდია „თელა", „გურჯაანის ნაყინი", „ტექნო ბუმი", ჟურნალი „გზა", საინფორმაციო სააგენტო „პირველი", კაფეების ქსელი „ნიკალა", „ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსი", გიორგი უშიკიშვილი და ანსამბლი „ლაშარი".

ნომინაციაში „ახალი ქართული ბრენდი" დაჯილდოვდნენ „ქართული ლუდის კომპანია" ბრენდისათვის „ზედაზენი", „აქვა გეო" ბრენდისათვის „სნო", კომპანია „კამოსი" ჟურნალი „სალონი", „ქალთა ბედნიერება" და კომპანია „სამოსელი პირველი". ასევე დაჯილდოვდნენ ნატო კორსანტია წიგნისათვის „ჩემი სახლი", ქართული ლიტერატურული ბრენდი „ჩვენი მწერლობა" ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ხოლო ბრენდ-პერსონად წელს რუსთაველის თეატრის მსახიობი მურმან ჯინორია დასახელდა.

როგორც პროექტის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, პროექტი „ქართული ბრენდის დღე" დაპატენტებულია 2004 წელს და საავტორო უფლება ეკუთვნის საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილს".

# გრიბოედოვის თეატრში საახალწლო პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრი და საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი" დიდ საახალწლო პრემიერას გამართავენ. 28 დეკემბერს თეატრის მოყვარული საზოგადოებისთვის წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „12 თვე" სამუილ მარშაკის ზღაპრის მიხედვით, რომელიც ახალგაზრდა სანკტ-პეტერბურგელმა რეჟისორმა დიმიტრი პავლოვმა დადგა.

– სპექტაკლის ჩვენება საქველმოქმედოა და მას დაესწრებიან ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატების და სარეაბილიტაციო ცენტრების აღსაზრდელები. სპექტაკლის დამთავრებისთანავე პატარა მაყურებლები მიიღებენ საჩუქრებს – ილია ჭავჭავაძის საბავშვო ნაწარმოებების წიგნს „საშობაო ზღაპარი", რომელიც არის „რუსული კლუბის" სერიიდან „საბავშვო წიგნი" და ტკბილეულს. პრემიერას დაესწრება მისი უწმინდესობა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე. პატრიარქი გახსნის გამოფენას, სახელწოდებით „ჩემო კარგო ქვეყანავ". გამოფენა, რომელიც შეაჯამებს „რუსული კლუბის" საბავშვო ნახატების კონკურსს, გაიმართება ალექსანდრე გრიბოედოვის თეატრის დიდი დარბაზის ფოიეში. პრემიერას ასევე დაესწრებიან მთავრობის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, – განაცხადა „რუსული კლუბის" წარმომადგენელმა ნინო წითლანაძემ.

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებო კავშირმა „რუსული კლუბი" (საქართველო) ფონდ „რუსსკი მირის" მხარდაჭერით და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით ჩაატარა სამეცნიერო-კულტურული ფორუმი „ილია ჭავჭავაძის დღეები სანკტ-პეტერბურგში. დაბადებიდან 175 წლისთავისადმი".

– მისალმება ამ ფორუმის მისამართით გამოაგზავნეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. ილია ჭავჭავაძის დღეები სანკტ-პეტერბურგში საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა. მასში მონაწილეობას იღებდნენ ხელოვანები საქართველოდან და რუსეთიდან, ასევე მეცნიერები და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და ცხოვრების მკვლევარნი. საერთაშორისო ფორუმის დასრულების შემდეგ ჩვენ ჩავატარეთ საგანგებო პრესკონფერენცია, სადაც ფორუმის ორგანიზატორებმა და მონაწილეებმა შეაჯამეს სანკტ-პეტერბურგში ჩატარებული დღეები. საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებო კავშირის „რუსული კლუბი" პრეზიდენტმა ნიკოლოზ სვენტიცკიმ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა ია ვაშაკიძემ, საქართველოს რუსთა ასოციაციის გენერალურმა მდივანმა დავით გოცირიძემ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ნიკა ნაკაიძემ ისაუბრეს იმ მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომელიც ამ ფორუმმა შედეგად მოიტანა, – აღნიშნა ნინო წითლანაძემ.

28 დეკემბრიდან 20 იანვრამდე კი ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის თეატრი წარმოადგენს ტრადიციულ საახალწლო წარმოდგენებს. თეატრის რეპერტუარშია სპექტაკლები „12 თვე" (რეჟისორი დიმიტრი პავლოვი) (რუსეთი), „ალისფერი იალქნები" (რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა), „საშობაო ზღაპარი" (რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა), „ალისფერი ყვავილი" (რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა), „მოროზკო" (რეჟისორი ლინდა ურბონავიჩუტე) (ლიტვა), „სალთან მეფის ზღაპარი" (რეჟისორი ავთანდილ ვარსიმაშვილი), „ემელიას ბედნიერება" (რეჟისორი გოგი თოდაძე). სპექტაკლებზე დასწრება ნებისმიერ მსურველს 5 ლარად შეეძლება.

# წელს საუკეთესო რომანი არ გამოვლინდება

ეკა ირემაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული კონკურსის „2012 წლის საუკეთესო რომანის" ჟიურის გადაწყვეტილებით, 2012 წელს გამარჯვებული რომანი არ გამოვლინდება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ოფიციალური განცხადებით, წელს „საუკეთესო რომანის" კონკურსის ჟიურიმ განსახილველად მხოლოდ 8 რომანი მიიღო, მაშინ, როდესაც 2011 წელს 18 რომანი იყო წარმოდგენილი, ხოლო 2010 წელს – 20 რომანი.

– ჟიურიმ გადაწყვიტა, 2012 წელს არ გამოაცხადოს გამარჯვებული რომანი და 2013 წელს ჩაატაროს 2011.12–2013.11 პერიოდში პირველად გამოცემულ რომანთა კონკურსი, – აცხადებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2013 წელს უნივერსიტეტი ორ პრიზს გასცემს. როგორც ცნობილია, პირველად „საუკეთესო რომანის" კონკურსი 2010 წელს ჩატარდა. დებიუტანტი გამარჯვებული და 10.000 ლარის მფლობელი აკა მორჩილაძე და მისი რომანი „მამლუქი" გახდა. მომდევნო წელს კი „საუკეთესო რომანის" ავტორად ზაზა ბურჭულაძე და მისი „გასაბერი ანგელოზი" დასახელდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

**იყიდება**

❖ მუხრან-თელეთში, თბილისიდან 24 კმ-ში, 275კვ.მ. საცხოვრებელ სახლი, 600კვ.მ მიწის ნაკვეთით, ბუნებრივი აირით და საკუთარი წყლით(გასაკეთებელია ვერანდის მოაჯირები და სველი წერტილი). ფასი: 27.000 დოლარი. გადახდა: ჯერ 18.000 დოლარი და 300 დოლარი ყოველთვიურად. ტელ:. 599-72-27-48, 599-42-55-49. გია.

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# ვუჩინიჩი საუკეთესოობას არ თმობს



წლის ბოლოა და თითქმის ყველა კონტინენტსა და ქვეყანაში საუკეთესო სპორტსმენებს ასახელებენ.

ტურინის „იუვენტუსის“ შემტევი ნახევარმცველი მირკო ვუჩინიჩი მონტენეგროს საუკეთესო ფეხბურთელად ბოლო შვიდ წელიწადში მეექვსედ აღიარეს. 29 წლის მოთამაშე გასულ სეზონში „იუვენტუსის“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, კლუბმა კი სერია ა დაუმარცხებლად მოიგო.

– დღეს ძალიან ბედნიერი ვარ! ვთვლი, რომ მსოფლიოს საუკეთესო კლუბში ვთამაშობ და მიხარია, რომ სამშობლოში ჩემი წარმატებები ხალხს ახარებს. ვიმედოვნებ, კარიერის დასრულებამდე ამ ჯილდოს კიდევ ერთხელ მოვიგებ, – განაცხადა გამარჯვებულმა.

მირკო ვუჩინიჩი ტურინის „იუვენტუსში“ 2011 წლის ზაფხულში გადავიდა „რომადან“. იტალიის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა მის სანაცვლოდ 15 მილიონი ევრო გადაიხადა, ფეხბურთელს კი ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა სეზონში 3,5 მილიონი ევროს ანაზღაურებით. სადებიუტო წელს მირკომ სერია ა და იტალიის სუპერთასი მოიგო, 2011-2012 წლების სეზონში კი, საერთო ჯამში, 35 ოფიციალურ მატჩში 10 გოლი გაიტანა.

პლიევლიას „რუდარის“ გარემარბი ბლაჟო იგუმანოვიჩი მონტენეგროს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, მეორე დივიზიონის ჩელიკის თავკაცი სლავოლიუბ ბუბანია – უძლიერეს მწვრთნელად.

ლონდონის „ჩელსის“ მცველი ბრანისლავ ივანოვიჩი სერბეთის წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ქვეყნის პირველი გუნდის კაპიტანმა ტიტული პირველად მოიგო. სერბეთის საუკეთესო მწვრთნელის ტიტული დრაგომირ ოკუკამ მოიპოვა.

28 წლის ივანოვიჩი მეხუთე სეზონს ატარებს ლონდონურ კლუბში. 2011-2012 წლების სეზონი მისთვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა: ინგლისის ასოციაციის თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ამ ტიტულების გარდა, ივანოვიჩმა ლონდონურ კარიერაში კიდევ ოთხი ჯილდო მოიპოვა: 2010 წელს პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა, 2009 წელს სუპერთასი აღმართა, 2009 და 2010 წლებში კი ასოციაციის თასს დაეუფლა. „ჩელსიში“ გადასვლამდე ივანოვიჩი მოსკოვის „ლოკომოტივში“ თამაშობდა, სადაც 2007 წელს რუსეთის თასი მოიგო.

– ჩემთვის ეს აღიარება ბევრს ნიშნავს. როცა სამშობლოში საუკეთესოდ გასახელებენ, ეს ბევრზე მეტყველებს. მადლობელი ვარ ყველა ჩემი თანაგუნდელის როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში. მათ გარეშე ვერ მივაღწევდი იმას, რაც შევძელი, – განაცხადა ივანოვიჩმა.

წლის საუკეთესო მწვრთნელად დრაგომირ ოკუკა აღიარეს, რომელმაც ჩინეთის „ჯიანგსუ სეინთი“ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გაიყვანა. ორი კვირის წინ ოკუკა ჩინეთის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ 2010 წლის საუკეთესო მოთამაშე დაასახელა: ტრადიციულ რეფერენდუმში ინგლისის „მანჩესტერ სიტის“ კოტდივუარელმა ნახევარმცველმა იაია ტურემ გაიმარჯვა. მანჩესტერული კლუბის ყველაზე მაღალანაზღაურებადმა მოთამაშემ შარშან მოგებული ტიტული შეინარჩუნა.

– ჩემთვის კონტინენტის საუკეთესო მოთამაშის წოდება ძალიან დიდი პატივია. მადლობელი ვარ იმ ხალხის, რომლებმაც ჩათვალეს, რომ 2012 წელს საუკეთესო ვიყავი, – განაცხადა 29 წლის ტურემ განის დედაქალაქ აკრაში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე.

ტურე მესამე სეზონს ატარებს „მანჩესტერ სიტიში“ და ამ ხნის განმავლობაში ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში სამი გუნდური ტიტული მოიგო: 2011 წელს ასოციაციის თასი აღმართა, გაზაფხულზე პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა, ზაფხულში კი ინგლისის სუპერთასს დაეუფლა. ის სუპერთასის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, 2011-2012 წლების სეზონის მიხედვით კი პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა. „მანჩესტერ სიტიმდე“ ტურე „ბარსელონაში“ თამაშობდა, სადაც 2009 წელს ექვსი ტიტული მოიპოვა: ესპანეთის ჩემპიონატი, თასი, სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო.

წლევანდელ რეფერენდუმში იაია ტურემ თანამემამულე დიდიე დროგბას და „ბარსელონას“ კამერუნელ საყრდენ ნახევარმცველ ალექს სონგს აჯობა. ორივე მათგანმა ზაფხულში კლუბი გამოიცვალა: დროგბა ლონდონის „ჩელსიდან“ ჩინეთის „შანხაი შენხუაში“ გადაბარგდა, სონგი კი ლონდონის „არსენალიდან“ „ბარსელონაში“.

# რატომ დატოვა დარასელიამ „დილა“ ნაადრევად

**როდესაც გიორგი დარასელია სათავეში გორის „დილას“ ჩაუდგა, გუნდს 4 მატჩიდან მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა და ბოლო ადგილზე იყო. საქართველოში იმასაც კი ხუმრობდნენ, დარასელიას სატურნირო ცხრილი უკუღმა აქვს დანახული და ისრაელიდან აქ სამუშაოდ იმიტომ ჩამოვიდაო. თავად დარასელიას კი უკვე კარგად ჰქონდა გააზრებული ეს რისკიანი ნაბიჯი.**



– თუ მწვრთნელი არასდროს დაიწყებს დამოუკიდებელ მუშაობას, მთელი ცხოვრება ასისტენტად დარჩება. მე მინდოდა მეჩვენებინა, რა მასწავლეს სამწვრთნელო წლებში, მინდოდა, ჩემი ძალები გამომეცადა. დიახ, ელიშა ლევის თანაშემწედ ვმუშაობდი „ბნეი საჰინში“, ჰაიფას „მაქაბიში“, ბეერ შევას „ჰაპოლში“ და ბევრი უფლებაც მქონდა, მაგრამ მაინც ასისტენტად ვითვლებოდი. ჩემთვის გაცილებით იოლი იყო, საქართველოში დავბრუნებულიყავი და ყველაფერი ისევ სამშობლოში დამეწყო. იქ ჩემთვის ნაცნობი მენტალიტეტია, ენის პრობლემა არ მაქვს. „დილას“ წინადადებამ მიბიძგა ამ ნაბიჯისკენ, – განაცხადა გიორგი დარასელიამ ინტერვიუში, რომელიც უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ახალგაზრდა სპეციალისტისთვის სამწვრთნელო მუშაობა გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე ფეხბურთის თამაში.

– ფეხბურთელობა უფრო ადვილია, ვიდრე მწვრთნელობა. თამაშისას მხოლოდ ერთ ადამიანზე ხარ პასუხისმგებელი – საკუთარ თავზე, რადგან გაძლევენ დავალებას, რომელიც უნდა შეასრულო, ხოლო მწვრთნელის სამუშაო 24-საათიანია და მინიმუმ 30 ზრდადასრულ ადამიანზე ფიქრობ, უნდა იცოდე მათი მნიშვნელოვანი მომენტები ცხოვრებაში და ყველაფერი გაუგო. როდესაც მწვრთნელობაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი, მეგონა, იოლი იქნებოდა – მომცემდნენ სასტვენს და, რაც ფეხბურთელობისას ვიცოდი, იმას სხვებს გადავცემდი, თუმცა საქმე უფრო სერიოზული აღმოჩნდა, – აღნიშნა დარასელიამ.

ახლა 44 წლის სპეციალისტი უკვე რუსეთის უკიდურეს აღმოსავლეთშია და ხაბაროვსკის „სკა ენერგიას“ თავკაცია.

– სამსახურის შეცვლა მომიწია, მაგრამ ეს ჩემთვის მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. არც მანამდე ვმალავდი, რომ საქართველოში დაბრუნებამდე სხვადასხვა კლუბიდან მქონდა წინადადებები. ადრე თუ გვიან, ასე მოხდებოდა. უბრალოდ, არ შემეძლო მეთქვა უარი „დილას“ წინადადებაზე და გუნდს მაღალი ადგილებისთვის ბრძოლის პრეტენზია დავუბრუნე.

დარასელიამ „დილაში“ ზუსტად 100 დღე იმუშავა. ამ დროის მანძილზე გორულმა გუნდმა 18 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 16 მოიგო და ახლა ლიდერ „დინამოს“ მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება.

– როცა საქართველოში მოვდიოდი, მიზნად ზედა ექვსეულში დამკვიდრება დავისახეთ. ყველაფერი შევასრულეთ და ახლა გუნდს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის შესანიშნავი შანსი აქვს. ძალიან მინდოდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ „სკა ენერგიის“ შემოთავაზებაზე უარის თქმა ვერ შევძელი. რუსეთში თავის გამოჩენის უფრო მეტი საშუალებაა, ვიდრე გორში, მით უფრო, „დილაში“ იმ პირობების შენარჩუნებაც კი გაჭირდა, რაც ჩამოსვლისას დამხვდა. საქართველოში დაბრუნებამდე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებზე საკმარისი ინფორმაცია მქონდა. მიმდინარე მოვლენებს ყოველთვის ვადევნებდი თვალს. დაბრუნების შემდეგ დავრწმუნდი, რომ ქართველებმა ფეხბურთის თამაში ისევ იციან. მთავარია, პირობები გაუმჯობესდეს და ევროპულ სტანდარტებს მივუახლოვდეთ. ავიღოთ ისრაელის მაგალითი, რომელიც საფეხბურთო კუთხით ევროპის ნაწილია. იქ ფეხბურთი გულშემატკივრებისთვის არის და სტადიონი ცარიელი არ არსებობს. ახლა იქ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატისთვის ემზადებიან, რისთვისაც ახალი სტადიონები და ბაზები ააშენეს. ეს მორიგი ძლიერი ბიძგი იქნება ისრაელში ფეხბურთის განვითარებისთვის და იმავეს ნახვა მინდა საქართველოშიც, – ამბობს დარასელია.

თავად „დილას“ ვებგვერდზე კი დარასელიას გუნდიდან წასვლის მიზეზებზეა საუბარი:

– ამ კითხვაზე პასუხი ქართულ ფეხბურთზე მოფიქრალ, მოლაპარაკე და მწერალ ბევრ ადამიანს აინტერესებს, გვინდა, თემაში მცირედი ნათელი მაინც შემოვიტანოთ. დარასელიას არაერთხელ უთქვამს, რომ ისრაელიდან საქართველოში სამუშაოდ გადმოსვლა, მისმა მეგობარმა მამუკა ჯუღელმა გადააწყვეტინა.

საფეხბურთო მასშტაბებით ცა და დედამიწასავით დაცილებულ ამ ქვეყნებს შორის რა სხვაობაა, ამაზე საუბარს არ მოვყვებით. სამშობლოში ასეთი კვალიფიციური სპეციალისტის დაბრუნება ეროვნულ ჩემპიონატსაც დაეტყო. გარეგნულად „მყარი“ აუტსაიდერის როლში მყოფი „დილა“ მალე ისე ათამაშდა, ყველა აალაპარაკა. იმ მიღწევების გამეორებას აღარ მოვყვებით, რაც გორელთა ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით დაფიქსირდა და პრესაშიც ბევრჯერ დაწერილა. უბრალოდ, შევაჯამებთ – „დილა“, საკლუბო ინფრასტრუქტურით მასზე ბევრად მაღლა მდგომ თბილისის „დინამოსთან“ საჩემპიონო ჭიდილში უმთავრესი კონკურენტია. გუნდში მყოფი ფეხბურთელების კვალიფიკაციის შესაბამისმა თამაშმა ქვეყნის პირველობას თავისებური ხიბლი შემატა.

ყველაზე უკეთ კლუბის ფაქტობრივმა მეპატრონე მამუკა ჯუღელმა იცოდა, რის საშუალება ექნებოდა ახალი წლიდან. გორის მუნიციპალიტეტი, რომელიც „დილას“ ე.წ. აქციების 100-პროცენტიანი მფლობელია, რაიონისა და რეგიონის მართლაც საამაყო სუბიექტისთვის დაფინანსების გამოყოფას არ (ვერ) ჩქარობს. მოკლედ, საფეხბურთო თვალსაზრისით „ქერის ორმოდან“, დარასელიას საქართველოში ჩამოყვანით გაფუჭებული საქმის გამოსწორება ჯუღელმა თავად იტვირთა. მეგობრისთვის უფრო ამბიციური და მისი სამწვრთნელო შესაძლებლობების შესაფერისი პროექტი მონახა.

ხაბაროვსკის „სკა ენერგია“ რუსეთის პირველ დივიზიონში მე-3 ადგილზეა და, თუ გაზაფხულიდან გასამართ დარჩენილ 11 მატჩში ერთი საფეხურით დაწინაურებას მაინც შეძლებს, პრემიერლიგაში აღზევდება. როგორ ფიქრობთ, იოლია, კარიერული თვალსაზრისით ასეთ მიმზიდველ შანსზე უარის თქმა? ვინც გიორგი დარასელიას იცნობს, დაგვეთანხმება, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია.

მამუკა ჯუღელი:

– ვატყობ, რომ გიორგის დონის მწვრთნელისთვის შესაფერის პირობებს გორში ველარ ვქმნიდი. ხან სავარჯიშო მინდვრის პრობლემაა, ხან ნორმალური შეკრებისთვის შესაფერისი სასტუმროსი. მოკლედ, როცა ბიუჯეტის მხრიდან თანადაფინანსების ბოლო იმედიც გადამეწურა, ხაბაროვსკის ვარიანტი მოვძებნე და, ვფიქრობ, ცუდად არ მოვქცეულვარ. თუ ვინმეს ასეთი მწვრთნელისა და ფეხბურთელების დასაფინანსებელი თანხის „დილაში“ მოტანა უნდა, უარს არავის ვეუბნებით – მოვიდნენ, ყველა კარი ღიაა.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი-ნიუკასლი | 4:3 |
| ნორვიჩი-ჩელსი | 0:1 |
| რედინგი-სუონსი | 0:0 |
| სანდერლენდი-სიტი | 1:0 |
| ფულემი-საუთჰემპტონი | 1:1 |
| ევერტონი-უიგანი | 2:1 |
| ქპრ-ვესტ ბრომვიჩი | 1:2 |
| ასტონ ვილა-ტოტენჰემი | 0:4 |
| სტოკი-ლივერპული | 3:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 19 | 15 | 1 | 3 | 48:28 | 46 |
| 2.სიტი | 19 | 11 | 6 | 2 | 34:16 | 39 |
| 3.ჩელსი | 18 | 10 | 5 | 3 | 37:17 | 35 |
| 4.ტოტენჰემი | 19 | 10 | 3 | 6 | 34:25 | 33 |
| 5.ევერტონი | 19 | 8 | 9 | 2 | 32:23 | 33 |
| 6.ვესტ ბრომვიჩი | 19 | 10 | 3 | 6 | 28:23 | 33 |
| 7.არსენალი | 18 | 8 | 6 | 4 | 32:18 | 30 |
| 8.სტოკი | 19 | 6 | 10 | 3 | 18:14 | 28 |
| 9.სუონსი | 19 | 6 | 7 | 6 | 27:23 | 25 |
| 10.ლივერპული | 19 | 6 | 7 | 6 | 28:26 | 25 |
| 11.ნორვიჩი | 19 | 6 | 7 | 6 | 20:28 | 25 |
| 12.ვესტ ჰემი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:22 | 23 |
| 13.სანდერლენდი | 19 | 5 | 7 | 7 | 20:24 | 22 |
| 14.ფულემი | 19 | 5 | 6 | 8 | 29:34 | 21 |
| 15.ნიუკასლი | 19 | 5 | 5 | 9 | 23:30 | 20 |
| 16.ასტონ ვილა | 19 | 4 | 6 | 9 | 15:36 | 18 |
| 17.საუთჰემპტონი | 18 | 4 | 4 | 10 | 23:34 | 16 |
| 18.უიგანი | 19 | 4 | 3 | 12 | 19:35 | 15 |
| 19.რედინგი | 19 | 1 | 7 | 11 | 21:37 | 10 |
| 20.ქპრ | 19 | 1 | 7 | 11 | 16:33 | 10 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ნოტინგემი-ლიდსი | 4:2 |
| ჩარლტონი-იფსვიჩი | 1:2 |
| ბარნსლი-ბირმინგემი | 1:2 |
| ბარნლი-დერბი | 2:0 |
| ბოლტონი-უენსდი | 0:1 |
| ვულვზი-პიტერბრო | 0:3 |
| კარდიფი-კრ.პალასი | 2:1 |
| მიდლსბრო-ბლექბერნი | 1:0 |
| ჰადერსფილდი-ბლექპული | 1:1 |
| ჰალი-ლესტერი | 0:0 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ასკოლი-ჩიტადელა | 4:1 |
| ბარი-გროსეტო | 1:0 |
| ლანჩანო-ნოვარა | 1:0 |
| ლივორნო-სასუოლო | 3:2 |
| მოდენა-სპეცია | 1:0 |
| პადოვა-ტერნანა | 0:0 |
| პრო ვერჩელი-ჩეზენა | 1:3 |
| რეჯინა-ვიჩენცა | 1:0 |
| ემპოლი-ვერონა | 1:1 |
| იუვე სტაბია-კროტონე | 3:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| იუნაიტედი-სტ.ჯონსონი | 1:1 |
| ინვერნესი-სტ.მირენი | 2:2 |
| კილმანროკი-ჰართსი | 1:0 |
| მოზერველი-აბერდინი | 4:1 |
| ჰიბერნიანი-როსი | 0:1 |
| დანდი-სელტიკი | 0:2 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| ბევერენი-გენკი | 1:1 |
| ვარეგემი-ლეუვენი | 2:1 |
| ლოკერენი-სერკლი | 3:0 |
| მეხელენი-გენტი | 1:0 |
| შარლერუა-მონსი | 1:2 |
| ბრიუგე-კორტრაიკი | 0:0 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-კლივლენდი | 84:87 |
| ორლანდო-ნიუ ორლეანი | 94:97 |
| შარლოტი-მაიამი | 92:105 |
| ატლანტა-დეტროიტი | 126:119(2ოტ) |
| მემფისი-ფილადელფია | 89:99 |
| მილუოკი-ბრუკლინი | 108:93 |
| მინესოტა-ჰიუსტონი | 84:87 |
| სან ანტონიო-ტორონტო | 100:80 |
| დენვერი-ლეიკერსი | 126:114 |
| ფინიქსი-ნიუ იორკი | 97:99 |
| იუტა-გოლდენ სტეიტი | 83:94 |
| პორტლენდი-საკრამენტო | 109:91 |

# ყველაზე უდისციპლინო ტორპედოა

როგორც დაგპირდით, დღეს საქართველოს 24-ე ჩემპიონატის სტატისკურ მონაცემებზე ვისაუბრებთ და რამდენიმე მათგანს ციფრებში გაგაცნობთ.

10 აგვისტოდან 23 დეკემბრის ჩათვლით 22 ტურის მანძილზე ჩატარდა 132 შეხვედრა, რომელთაგანაც 64 მატჩი მასპინძლებმა მოიგეს ( 48,5 პროცენტი), ფრე დაფიქსირდა 25 მატჩში (18,93), ხოლო სტუმრებმა წარმატებას 43-ჯერ მიაღწიეს (32,67).

ყველაზე გრძელი მოგებათა სერია გორის „დილას“ აღმოაჩნდა – 11 მატჩი, ყველაზე ხანგრძლივი დაუმარცხებელი სერია – თბილისის „დინამოს“ – 16 მატჩი. ცხადია, მოუგებელი მატჩების სერიის „რეკორდი“ ფოთის „კოლხეთს“ ეკუთვნის, რომლებმაც 22 ტურში ერთხელაც ვერ მოახერხეს გამარჯვების მოპოვება. ყველაზე გრძელი წაგებათა სერიაც მათია – 14 მატჩი.

ფოთელები ბოლო მაჩვენებელს ფლობენ მშრალად შენახული კარის მიხედვითაც. მათ მხოლოდ ერთხელ არ გაუშვეს ბურთი. გორელებმა კი ეს ყველაზე მეტჯერ მოახერხეს – 14. მათვე ეკუთვნით ყველა ხანგრძლივი გოლგაუშვებელი სერიაც – 7.

ჩატარებულ 132 თამაშში მსაჯებმა ყვითელი ბარათი ფეხბურთელებს 487-ჯერ უჩვენეს, ხოლო წითელი – 50-ჯერ. ყველაზე ხშირად ყვითლებს ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელები იღებდნენ (51), ხოლო ყველაზე ნაკლებად – ვიტ ჯორჯიელები (28). ყველაზე მეტი ფეხბურთელი „დინამოსა“ და „დილას“ (4-4) გაუძევს, ხოლო ერთადერთი გუნდი, რომელსაც წითელი არ მიუღია, საჩხერის „ჩიხურაა“.

**ყველაზე უხეშად ქუთაისის „ტორპედოს“ წინააღმდეგ თამაშობდნენ – მათ წინააღმდეგ 5 წითელი და 46 ყვითელი ბარათი მიიღეს.**

მსაჯებმა წელს 23 თერთმეტმეტრიანი დარტყმა დანიშნეს, აქედან 21 გაიტანეს, ერთი გიორგი ლორიამ აიღო, ხოლო ერთიც გივი დიდავამ კარს ააცილა.

**ყველაზე ცუდი მაჩვენებელი დისციპლინის მხრივ (1 ქულა ყვითელი, 2 ქულა წითელი):** „ტორპედო“: 53 ქულა (51 ყვითელი და 1 წითელი ბარათი)

**საუკეთესო მაჩვენებელი დისციპლინის მხრივ:** „ვიტ ჯორჯია“: 30 ქულა (28 ყვითელი და 1 წითელი ბარათი)

**ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი (მოთამაშე):** თემურ ღონღაძე (ზესტაფონი), ელგუჯა გრიგალაშვილი (ტორპედო), ომარ გოგონაია (კოლხეთი) – 7-7.

**ყველაზე მეტი წითელი ბარათი (მოთამაშე):** ოთარ ხიზანეიშვილი (დინამო თბ), გიორგი კაჭკაჭიშვილი (ზესტაფონი) – 2-2.

# მერვედფინალისტები დაწყვილდნენ

გაიმართა დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალის წილისყრა, რომელმაც რამდენიმე საინტერესო წყვილიც შემოგვთავაზა.

გუნდები განთესილნი იყვნენ ეროვნულ ჩემპიონატში ცხრილის მიხედვით. თუმცა, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა გამოდგეს ბათუმის „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ დაპირისპირება, ასევე ბოლნისის „სიონისა“ და „ზუგდიდის“ ჯახი, რადგან ჯერჯერობით ზუგდიდელთა მომავალი ბუნდოვანია. არანაკლებ საინტერესო უნდა გამოდგეს „ვიტ ჯორჯიასა“ და ცხინვალის „სპარტაკის“ წყვილიც – სამაჩაბლოელები პირველ ლიგას ლიდერობენ და საინტერესო ფეხბურთსაც აჩვენებენ.

სრული სია კი ასეთია: დილა-სამტრედია; დინამო (ბთ)-მეტალურგი; ვიტ ჯორჯია-სპარტაკი; გურია-ზესტაფონი; ჩიხურა-შუქურა; სიონი-ზუგდიდი; ტორპედო-გაგრა; კოლხეთი-დინამო (თბ).

პირველი შეხვედრები 26 თებერვალს გაიმართება, საპასუხო მატჩები კი – 3 მარტს.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ჩაინავუმენი თბილისში იმღერებს

ეკა ირემაშვილი



30 დეკემბერს აჩიკო გულედანისა და „ალტერვიუენ ჯგუფის" მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პროექტი „ოზონი ლაივი", რომლის ფარგლებში თბილისში ჩაინავუმენი ჩამოვა და კონცერტს გამართავს. ჩაინავუმენ მიშელ გურევიჩის ფსევდონიმია. კანადაში დაბადებული, რუსულ-ებრაული ოჯახში და ტორონტოს რუსული დიასპორის წრეში აღზრდილი ხელოვანის შემოქმედება მსმენელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ორი წლის წინ მომღერალმა ტორონტოდან ევროპაში გადასახლება გადაწყვიტა და არჩევანი ბერლინზე შეაჩერა. ჩაინავუმენმა უკვე მოასწრო და რამდენჯერმე ესტუმრა კონცერტებით რუსეთს, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, სადაც მისი მუსიკა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

როგორც კონცერტის ორგანიზატორები განმარტავენ, სწორედ რუსულმა და აღმოსავლეთევროპულმა მუსიკამ, ემიგრანტი მშობლებისგან მიღებულმა ერთგვარმა მემკვიდრეობამ, იქონია ყველაზე ძლიერი გავლენა მის შემოქმედებასა და მუსიკალურ გემოვნებაზე.

– მელოდიების სტილი, ზოგადი გრანდიოზულობა, აგრეთვე, გამოხატვის ტრაგიკომიკური და სენტიმენტალური ფორმა, ერთდროულად პირქუში და სადღესასწაულოა, – ასე ახასიათებს საკუთარი შემოქმედებას მომღერალი.

ჩაინავუმენი ქართველი მსმენელის წინაშე კლუბში „ტრიუმფი" წარდგება. მას ქართველი მელომანები 2007 და 2010 წლებში გამოშვებული ალბომებით იცნობს.

– ჩაინავუმენს საქართველოში მოსალოდნელზე მეტი თაყვანისმცემელი აღმოაჩნდა და ორგანიზატორების მოლოდინი მსმენელის დაინტერესებასთან დაკავშირებით გამართლდა. კლუბი „ტრიუმფი", სადაც კანადელი მუსიკოსები სამკაციანი შემადგენლობითა და საათნახევრიანი პროგრამით წარსდგებიან, 1500-მდე ადამიანს იტევს, – აცხადებს „ოზონი ლაივის" მედიაკოორდინატორი სოფო ებრალიძე.

მისივე თქმით, „ოზონი ლაივის" ფარგლებში ყოველთვიურად მოხდება ცნობილი უცხოელი არტისტების საქართველოში ჩამოყვანა და რამდენიმე საწყისი ივენთის შემდეგ ქართველი მსმენელი თავად იქნება ჩართული მომავალი ღონისძიების სტუმრის არჩევაში.

30 დეკემბერს კლუბში „ტრიუმფი" დაგეგმილ კონცერტზე გასაყიდი ბილეთების რაოდენობა შეზღუდულია და 40 ლარი ღირს.

# წელს საუკეთესო რომანი არ გამოვლინდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

როგორც ილიას უნივერსიტეტში განმარტავენ, ქართული ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით უკვე მესამე წელია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წლის საუკეთესო ქართული რომანის გამოსავლენად კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის პირობების თანახმად, საკონკურსო ნაწარმოები 2011 წლის 5 დეკემბრიდან 2012 წლის 5 დეკემბრამდე უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული. ამ პერიოდის განმავლობაში გამოცემული რომანების წარდგენა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 31 ოქტომბრიდან 5 დეკემბრამდე იყო შესაძლებელი. ჟიურის წევრებს ინდივიდუალურად უნდა შეეფასებინათ ნაწარმოები საერთო შკალის მიხედვით. კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღება არ იყო გათვალისწინებული. გაიმარჯვებდა ის რომანი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას მიიღებდა. ჟიურის შემადგენლობა ყოველ წელს კონფიდენციალურია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მის შემადგენლობაში შედიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები. „საუკეთესო რომანის" გამარჯვებული საქართველოში ყველაზე დიდ ლიტერატურულ პრემიას – 10.000 ლარს იღებს. კონკურსის არსებობის მანძილზე მასში 41-მა რომანმა მიიღო მონაწილეობა. წელს კონკურსი მისმა ორგანიზატორებმა წარდგენილი რომანების სიმცირის გამო გააუქმეს.

სამაგიეროდ, სასიამოვნო სიახლეები აქვს ილიაუნის თეატრს. 28, 29 და 30 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში სპექტაკლის „ევრიდიკე" პრემიერა გაიმართება. სპექტაკლი ჟან ანუის ცნობილი პიესის მიხედვით შეიქმნა.

– ორფეოსისა და ევრიდიკეს ამბავი ერთ-ერთი ყველაზე ძველი ლეგენდაა სიყვარულზე – გველის ნაკბენისაგან გარდაცვლილი ევრიდიკე მომღერალმა ორფეოსმა იმ ქვეყნიდან გამოიხსნა, თუმცა ცდუნებას ვერ გაუძლო, პირობა დაარღვია და სატრფოს მანამდე შეხედა, ვიდრე ჩრდილების სამფლობელოს გაეცლებოდნენ. ჟან ანუის ვერსიაში ორფეოსი მოხეტიალე მევიოლინეა, ევრიდიკე – ღარიბი მსახიობების ქალიშვილი, მოქმედება კი XX საუკუნის 40-იანი წლების ფრანგულ პროვინციაში ვითარდება. დანარჩენს იხილავთ სპექტაკლში, რომელსაც თქვენთვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრალური ხელოვნების პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები გაითამაშებენ, – აცხადებენ ილიას უნივერსიტეტში.

ორმოქმედებიანი სპექტაკლის რეჟისორები არიან ოთარ ეგაძე და მილენა ეგიაზაროვა, მხატვარი – გოჩა აგაშენაშვილი, ქორეოგრაფი – სოფიო გვრიტიშვილი, მუსიკალური გაფორმება კი ელენე ნიჟარაძეს ეკუთვნის.

– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი 2010 წელს დაარსდა. ეს არის პირველი პროფესიული თეატრი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, სადაც სპექტაკლებს ქმნიან როგორც გამოცდილი რეჟისორები მოწვეულ პროფესიონალ მსახიობებთან ერთად, ასევე ახალბედა ხელოვანებიც, რომლებიც მხოლოდ ახლა ეუფლებიან ამ ურთულეს პროფესიას. თეატრს არ ჰყავს სამხატვრო ხელმძღვანელი და ანტრეპრიზის პრინციპზე მუშაობს, – ნათქვამია ილიაუნის განცხადებაში.

ილიას უნივერსიტეტი მსოფლიო კინოს საერთაშორისო დღესაც აღნიშნავს და უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კინო და მედიაკომუნიკაციის შემსწავლელი ცენტრი ერთდღიან ფესტივალს ჩაატარებს. წიგნის მაღაზია „ლიგამუსში" ერთდღიანი ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იქნება ძმები ლუმიერების პირველი ფილმები ჟორჟ მელიესის „მოგზაურობა მთვარეზე", „ადამიანი ორკესტრი", „ადამიანი რეზინის თავით", ასევე მაქს ლინდერის „უიღბლობის შვიდი წელი". ფესტივალს კი შესავალი სიტყვით გახსნის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კინომცოდნე, პროფესორი ნინო მხეიძე.

უნივერსიტეტმა უკვე უმასპინძლა საჯარო ლექციებს კულტურის მენეჯმენტში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოწვევით ნიდერლანდების ტრეხტის უნივერსიტეტის პროფესორმა ხიპ ჰაგორტმა კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით ჩაატარა ლექციები კულტურის მენეჯმენტში.

– ხიპ ჰაგორტი უტრეხტის სამართლის უნივერსიტეტში იღებდა განათლებას. მან მიიღო ჰოლანდიის ნეინროდის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის დოქტორის წოდება ეკონომიკის დარგში. იგი ხელოვნების სკოლის ხელოვნებისა და ეკონომიკის ცენტრის დირექტორი და ლექტორია და უძღვება საერთაშორისო სწავლების პროექტების მენეჯმენტს. ხიპ ჰაგორტი მონაწილეობს მსოფლიოს გამოჩენილ მკვლევართა სემინარებში და მიწვეული პროფესორის რანგში მუშაობს კრაკოვის იაგელონიის, იოჰანსბურგის ვიცვატერლენდის და ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ იორკის უნივერსიტეტებში. მისი წიგნები და ნაშრომები ეძღვნება კულტურულ ანტერპრენიორობას, კულტურის სტრატეგიის მენეჯმენტს, კულტურულ პროექტებს და კულტურის პოლიტიკას. 1998 წელს, მისი ინიციატივით, უტრეხტის ხელოვნების სკოლაში შეიქმნა ხელოვნებისა და მედია მენეჯმენტის უნიკალური პროგრამა ევროპის კონტექსტში. პროფესორი არჩი კლეინგარტნერი ხიპ ჰაგორტის წიგნის, სახელწოდებით „ხელოვნებო მენეჯმენტის ანტერპრენიორული სტილი", შესახებ აღნიშნავს: „შესანიშნავი დემონსტრაცია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეიკრას მნიშვნელოვანი იდეები და მენეჯმენტის ლიტერატურის კვლევის შედეგები, რათა დაეხმარონ ხელოვნებისა და კულტურის ორგანიზაციაში ლიდერობისა და მენეჯმენტის ნამდვილ გამოწვევებს", – ნათქვამია ილიას უნივერსიტეტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მუზეუმი რომში; 2. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 3. სხვადასხვა ფერის შარვლისა და პიჯაკისგან შემდგარი კოსტიუმი; 4. ქართველი მგოსანი; 7. ქართული მინერალური წყალი; 8. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, მოშვება; 12,. ნაწილებისა და ფენების განლაგებით განსაზღვრული ნივთიერების აგებულება; 15. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 16. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების უეცარი დაცემით გამოწვეული გონების დაკარგვა; 17. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 19. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის" ფეხბურთელი; 20. გარეგნული მომხიბვლელობა, სილამაზე.

**თარაზულად:** 5. აეროპორტი მილანში; 6. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 9. პოემა „გველის მჭამელის" პერსონაჟი; 10. სამომსახურეო ჯიშის ძაღლი; 11. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 13. ნავსადგური ყირიმში; 15. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 18. ვინჩენცო ბელინის ოპერა; 21. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 22. საშუალო სამედიცინო განათლების მქონე მუშაკი საავადმყოფოში; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქვემეხი; 2. დანლოპი; 3. ონიქსი; 4. სამბო; 5. ისლანდია; 7. შოუ; 11. როიალი; 15. გერუსია; 16. ბოხოხი; 17. დენთი; 18. ოფისი; 20. კუცია; 22. პოლო.

**თარაზულად:** 6. „ვაშაში"; 8. მაქმანი; 9. „კასტელი"; 10. მერკური; 12. გესლი; 13. ოფურო; 14. მისისიპი; 19. პარსეკი; 21. „გელაპი"; 24. „მთიელი"; 25. დიზაინი; 26. ბიჭვინთა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხარფუხი; 2. „დიდება"; 3. „მარაკანა"; 4. ფიტომალი; 7. „ჰეინიკენი"; 8. უტინოურა; 12. ტოპონიმი; 14. დისლალია; 16. იარანგი; 17. კაშხალი; 19. ეტნა; 20. პანი.

**თარაზულად:** 5. ბატიბუტი; 6. „ამარკორდი"; 9. მულინე; 10. ბესიკი; 11. სიგმა; 13. დოგმა; 15. დიდუბე; 18. იალტა; 21. ალტიმეტრი; 22. ნოთაობა; 23. წაღვერი.

# კერძო დეტექტივის განცხადებით, უიტნი ჰიუსტონი ნარკომოვაჭრეებმა მოკლეს

**„მომღერალი უიტნი ჰიუსტონი ნარკოდილერების ხელით დაიღუპა. მას ნარკომოვაჭრეების ვალი, 1,5 მილიონი დოლარი ჰქონდა, რომლითაც მათგან კოკაინი შეიძინა", – ამ ვერსიაზე კერძო დეტექტივი ჰოლივუდიდან, პოლ ჰიუბლი ალაპარაკდა, რომელიც მომღერლის გარდაცვალების საქმეს დამოუკიდებლად იძიებდა.**



გამომძიებელმა შეძლო ვიდეოკამერის ჩანაწერის მოპოვება, სადაც ჩანს, რომ ვარსკვლავის სიკვდილის დღეს, მასთან ორი ნაცნობი ნარკომოვაჭრე მივიდა. დეტექტივის ინფორმაციით, ისინი მომღერლისგან ვალის დაბრუნებას ითხოვდნენ. ჰიუბლი კატეგორიულად არ ეთანხმება ოფიციალურ ვერსიას, რომლის მიხედვითაც ჰიუსტონის დაღუპვა შემთხვევითობა იყო და აცხადებს, რომ ნარკოდილერები მასთან ნომერში შევიდნენ და სიტყვიერი შელაპარაკების შემდეგ ის მოკლეს.

„უიტნის სხეულზე დარჩა კვალი, რომელიც იმას მეტყველებს, რომ მომღერალი სიკვდილის წინ თავს იცავდა და სიცოცხლისთვის იბრძოდა", – ირწმუნება გამომძიებელი „დეილი მეილისთან" საუბარში. ამას გარდა, ისიც ირკვევა, რომ მომღერლის სიკვდილის დღეს მისი ნომრიდან გარკვეული ნივთები დაიკარგა. გამომძიებელმა მოპოვებული მასალები უკვე გადასცა გამოძიების ფედერალურ ბიუროს.

უიტნი ჰიუსტონი ლოს-ანჯელესში, სასტუმროში 2012 წლის 11 თებერვალს გარდაიცვალა. სიკვდილის ოფიციალურ ვერსიად, გულის უკმარისობა და კოკაინის და ანტიდეპრესანტების ბოროტად გამოყენება დასახელდა. აპრილში, მომღერლის გარდაცვალების საქმე დახურულად გამოცხადდა.

უიტნი ელიზაბეთ ჰიუსტონი იყო ამერიკელი პოპ და რიტმ-ენდ-ბლუზ მომღერალი, მსახიობი, კინოპროდიუსერი და მოდელი.

მსოფლიო მასშტაბით უიტნი ჰიუსტონს გაყიდული აქვს დაახლოებით 170 მილიონი ალბომი და სინგლი. გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში იგი შესულია, როგორც კომერციული თვალსაზრისით, ყველა დროის ყველაზე წარმატებული რიტმ-ენდ-ბლუზის შემსრულებელი ქალი. მომღერალი ცნობილია თავისი ძლიერი ხმის დიაპაზონით, რომელიც კოლორატურა სოპრანოდაა მიჩნეული. ის პირველი და ჯერ-ჯერობით ერთადერთი მომღერალია, რომელსაც ბილბორდის ცხელ 100-ეულში ზედიზედ შვიდი ნომერი 1 ჰიტ-სინგლი ჰქონდა. მუსიკალური შესრულების გარდა, ჰიუსტონი აღიარებული მსახიობი, პროდიუსერი და ფილანთროპი იყო.

# ლოს ანჯელესში „იარაღის ჩაბარების" აქცია დაიწყო

**ლოს ანჯელესის პოლიციამ იარაღის ჩაბარების ტრადიციული, ყოველწლიური აქცია წლეულსნაადრევად დაიწყო. ასეთი გადაწყვეტილება სენდი ჰუკის დაწყებით სკოლაში მომხდარი საზარელი ტრაგედიის შემდეგ მიიღეს.**

პროგრამაში მონაწილე კალიფორნიის შტატის ყველა მაცხოვრებელს, ვინც იარაღს ნებაყოფლობით ჩააბარებს, პოლიცია წახალისების მიზნით სასაჩუქრე ბარათებს ურიგებს, რომლებზეც ფულადი თანხაა ჩარიცხული.

ქალაქის მერის, ანტონიო ვილარაიოგოსას განცხადებით, ახლა მოქმედების დროა და არა – ლაპარაკის. „ქვეყანაში სწორედ ახლა დგას მომენტი, როცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეგვწევს ძალა იარაღის აკრძალვის თაობაზე გონივრული კანონის მიღების ისე, რომ ამით კონსტიტუციას არ დავარღვევთ".

„ევრონიუსის" ინფორმაციით, წელს იარაღის ჩაბარების აქციაში, რომელიც ლოს ანჯელესში უკვე მეხუთე წელია იმართება, მონაწილეობის უფრო მეტი მსურველი გამოჩნდა, ვიდრე გასულ წლებში.

აშშ-ში იარაღის მფლობელობაზე კანონის გამკაცრება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნიუთაუნში ახალგაზრდა თავდამსხმელი დაწყებით სკოლაში შეიჭრა და 20 ბავშვი და 7 მასწავლებელი მოკლა.

ამერიკის ეკონომიკისთვის იარაღის გაყიდვას 3,4 მილიარდი შემოსავალი მოაქვს.

ქალაქი ლოს-ანჯელესი, (შემოკლებით ელ-ეი, ანგელოზთა ქალაქი, კალიფორნია), მოსახლეობით აშშ-ის სიდიდით მეორე ქალაქია ნიუ-იორკის შემდეგ. ქალაქის სტატუსი მიენიჭა 1850 წლის 4 აპრილს და ამავე სახელწოდების ქაუნთის ადმინისტრაციული ცენტრია. 2000 წლის ცენზის მიხედვით, მისი მოსახლეობა შეადგენდა 3,69 მილიონს, თუმცა 2004 წლის 1 ივლისის აღწერით ქალაქის მოსახლეობამ 3,85 მილიონს მიაღწია, ქაუნთის საერთო 10 მილიონი მცხოვრებიდან. ქალაქი სამხრეთ კალიფორნიის ურბანული აგლომერაციების ცენტრი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მისი ფართობია 1200 კვ.კმ, რითაც ის ნიუ-იორკს და ჩიკაგოს აღემატება.

ლოს-ანჯელესი ქვეყნის ერთ-ერთი კულტურული, ეკონომიკური, სამეცნიერო და გართობის ცენტრია. ქალაქი ასევე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კოსმოპოლიტი ადგილია, ისევე როგორც შემოქმედების ავანგარდი, სადაც თავს იყრის დედამიწის ფაქტიურად ყველა ერის წარმომადგენელი. აქ ჩამოსულ ადამიანებს ყოველთვის ხიბლავდა ქალაქის საამური კლიმატი, ცხოვრების ცოცხალი ცხოვრების რიტმი, უდიდესი ენერგია, წყნარ ოკეანეზე მთავარი გასასვლელის სტატუსი და „ამერიკული ოცნების" განხორციელების შესაძლებლობანი. 1932 და 1984 წლებში ლოს-ანჯელესი ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უგო ჩავესმა უფლებამოსილება ვიცე-პრეზიდენტს გადააბარა



ვენესუელას პრეზიდენტმა უგო ჩავესმა, რომელიც მკურნალობის კურსს კუბაში გადის, უფლებამოსილება ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტს, ნიკოლას მადუროს გადააბარა. ამის შესახებ „ფოქსნიუსი“ იუწყება.

ჩავესმა უფლებამოსილება მადუროს ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში გაუზარდა. მადუროს დაევალა ბიუჯეტთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და არასაბიუჯეტო თანხების განკარგვა.

58 წლის უგო ჩავესი ვენესუელას პრეზიდენტად მეოთხე ვადით ოქტომბერში აირჩიეს. ექიმებმა ცოტა ხნის წინ მას კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

კარიერით სამხედრო ოფიცერმა, ჩავესმა 1992 წლის ჩაშლილი სამხედრო გადატრიალების შემდეგ მემარცხენე მეხუთე რესპუბლიკური მოძრაობა დააფუძნა. ჩავესი პრეზიდენტად აირჩიეს 1998 წელს. მისი კამპანია ეყრდნობოდა ვენესუელის ღარიბი უმრავლესობისთვის შემწეობის გაზრდას. ამავე პლატფორმით ის ხელახლა აირჩიეს 2000, 2006 და 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებშიც.



# დოკუ უმაროვი, შესაძლოა, ინგუშეთის მთებში იმალება

ინგუშეთის რესპუბლიკის ლიდერის იუნუს-ბენ ევკუროვის თქმით, ტერორისტი დოკუ უმაროვი, შესაძლოა, ინგუშეთის მთებს აფარებს თავს.

„არსებობს ინფორმაცია, რომ უმაროვი ადგილსამყოფელს იცვლის; ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ ის ინგუშეთის ტერიტორიაზე იმყოფება, ძნელად მისადგომ მთიან და ტყიან ადგილებში“, – განუცხადა ევკუროვმა „რია-ნოვოსტის“.

მან ასევე აღნიშნა, რომ ინგუშეთში არაბი დაქირავებულები არ აღმოუჩენიათ. „ყველას, ვისაც ჩვენ ვაფიქსირებთ და ვაკავებთ, მათ შორის არაბი დაქირავებულები არ ყოფილან“, – თქვა ევკუროვმა.

დოკუ (დოკა) უმაროვი (დ. 13 აპრილი, 1964, ჩეჩნეთი), იჩქერიის პრეზიდენტი და ჩრდილოეთ კავკასიის ემირია. იგი რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დაწყების დღიდან იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ. ამ ომში გამოჩენილი სიმამაცისთვის უმაროვი დაჯილდოებულია ორი ორდენით (“ერის პატივი“ და „ერის გმირი“). პირად სამხედრო შემადგენლობაში ჰყავს რამდენიმე ასეული მებრძოლი.

# ჩრდილოეთ ოსეთში მუფთის მოადგილე მოკლეს

ჩრდილოეთ ოსეთში მუფთის მოადგილე იბრაგიმ დუდაროვი მოკლეს. რუსული მედიის ინფორმაციით, დუდაროვი ვლადიკავკაზიდან გასვლის დროს ჩაცხრილეს.

თავდასხმა წუხელ მოხდა. დუდაროვი საკუთარი ავტომობილით გადაადგილდებოდა.

როგორც ჩრდილოეთ ოსეთის მუფთიმ, ხაჯი-მურატ გაცალოვმა განაცხადა, მისი მოადგილის მკვლელობა მაშინ მოხდა, როდესაც ის სახლში ბრუნდებოდა. მისივე თქმით, დუდაროვს ხ[illegible]თჯერ ესროლეს.

გაცალოვის ინფორმაციით, იბრაგიმ დუდაროვი იყო უაღრესად გაწონასწორებული და უკონფლიქტო პიროვნება და მისი მკვლელობა შეიძლება ჩაედინათ მხოლოდ ისლამის მტრებს.

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში სასულიერო პირების მკვლელობები იშვიათი მოვლენა არ არის, მორწმუნეთა შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ამ სახის დანაშაულის დიდი უმრავლესობა გაუხსნელია და შესაბამისად თავდამსხმელებიც დაუდგენელია.

დუდაროვის მკვლელობასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის დეპარტამენტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პროფესორი

**ოთარ დავლოსტის ძე კერესელიძე**



დაკრძალვა: 29 დეკემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ბოცვაძის ქუჩა №14, I სადარბაზო, I სართული.

„ახალი თაობა“ სამძიმარს უცხადებს მანანა კორძაძეს ბიძის

**ბორია ვაშაკიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ჯორჯ ბუში-უფროსი რეანიმაციულ განყოფილებაშია



ამერიკის 41-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში-უფროსი ჰიუსტონის ჰოსპიტალის რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ამის შესახებ „სი-ენ-ენი“ იუწყება.

მისი პრესმდივნის, ჯიმ მაკგრეტის განცხადებით, ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა მაღალი ტემპერატურის გამო, ექიმებმა მისი რეანიმაციაში მოთავსება გადაწყვიტეს.

88 წლის ჯორჯ ბუში კლინიკაში 23 ნოემბერს მოათავსეს მწვავე ბრონქიტის დიაგნოზით.

ბუშს საავადმყოფოში ხშირად აკითხავენ ახლობლები. შობას კი ის მეუღლე, ბარბარასთან და შვილის, ნეილის ოჯახთან ერთად შეხვდა. მამას არც ყოფილი პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში უმცროსი ივიწყებს და მასთან მოსანახულებლად ხშირად დადის.

რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში აშშ-ის პრეზიდენტად 1988 წელს აირჩიეს. ოთხი წლის შემდეგ, მან არჩევნები დემოკრატ ბილ კლინტონთან წააგო. მას შემდეგ, უფროსი ბუში ზამთარს ჰიუსტონში ატარებდა, ზაფხულს კი მენის შტატში. უკანასკნელ წლებში, ის პარკინსონის დაავადებით იტანჯება, რომელიც ინვალიდის სავარძელს საჭიროებს.

ჯორჯ ჰერბერტ უოლკერ ბუში (დ. 12 ივნისი, 1924) რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის დროს 1981-1989 წლებში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი იყო.

ბუში მასაჩუსეტსში დაიბადა. მისი მამა პრესკოტ ბუში ბანკირი და სენატორი იყო. 1941 წელს პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ბუშმა კოლეჯში სასწავლებლად წასვლა გადადო და, 18 წლის ასაკში, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის იმ დროისთვის ყველაზე ახალგაზრდა ავიატორი გახდა. იგი ჯარში ომის დასრულებამდე მსახურობდა. ამის შემდეგ ის იელის უნივერსიტეტში სწავლობდა. 1948 წელს ბუში თავის ოჯახით ტეხასში გადავიდა და ნავთობის ბიზნესში ჩაება. 40 წლის ასაკში იგი უკვე მილიონერი იყო.

ბუში პოლიტიკაში საკუთარი ნავთობკომპანიის დაარსებიდან მალე ჩაება. იგი წარმომადგენელთა პალატის წევრი იყო, ასევე დიპლომატიურ თანამდებობებზე და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორად მუშაობდა. 1980 წელს მან წარუმატებლად სცადა პრეზიდენტის ნომინაციის მოპოვება, მაგრამ რესპუბლიკურ პრაიმერებში გამარჯვებულმა რონალდ რეიგანმა იგი ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა.

1988 წელს ბუში რეიგანის მემკვიდრედ აირჩიეს პრეზიდენტის პოსტზე. მისი პრეზიდენტობისას ბერლინის კედელი დაეცა, ხოლო ვარშავის პაქტი და საბჭოთა კავშირი დაიშალა. ასევე იგი სამხედრო შეჭრას პანამაში და სპარსეთის ყურის ომს ხელმძღვანელობდა. შიდა საკითხებში მან წინასაარჩევნო დაპირებას უღალატა და გადასახადები გაზარდა, რამაც რესპუბლიკელ ამომრჩევლებში მისი პოპულარულობის დაცემა გამოიწვია. ეკონომიკური პრობლემების ფონზე იგი 1992 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატმა ბილ კლინტონმა დაამარცხა.

იგი აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ უოლკერ ბუშის და ფლორიდის ყოფილი გუბერნატორის ჯებ ბუშის მამაა.

# ისრაელმა ღაზას სექტორის ბლოკადა შეარბილა




პალესტინის ხელისუფლების განცხადებით, ისრაელმა ღაზას სექტორზე სამშენებლო მასალების იმპორტის აკრძალვა მოხსნა. ამ მოთხოვნას უკვე დიდი ხანია „ჰამასი“ აყენებდა. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „ფრანს პრესი“ ავრცელებს.

სამშენებლო მასალების შეტანაზე აკრძალვა, იმ შეთანხმების ერთ-ერთი ნაწილი გახდა, რომელიც ისრაელის ხელისუფლებასა და „ჰამასს“ შორის, უკანასკნელი შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ გაფორმდა. შეთანხმების თანახმად, პალესტინა უარს ამბობს ისრაელის დაბომბვების გაგრძელებაზე, ხოლო საპასუხოდ, ისრაელი ღაზაზე ბლოკადას შეარბილებს და მებრძოლთა ლიდერების განადგურებას შეწყვეტს.

ისრაელმა, თავის დროზე, ღაზაში სამშენებლო მასალების შეტანაზე აკრძალვა იმ მოტივით დააწესა, რომ შიშობდა, მათ „ჰამასი“ გვირაბების და სიმაგრეების ასაგებად გამოიყენებდა. შედეგად, ღაზაში მშენებლობები დიდი ტექნოლოგიური სირთულეებით მიმდინარეობდა.

ღაზის სექტორი პალესტინის ტერიტორიების ერთ-ერთი შემადგენელი რეგიონია, ვიწრო სანაპირო ზოლი ხმელთაშუა ზღვის პირას ახლო აღმოსავლეთში. სახელი მომდინარეობს მისი მთავარი ქალაქიდან ღაზა, რომელსაც დაახ. 1,4 მლნ. მცხოვრები ჰყავს და 360 კმ ფართობი უჭირავს.

ღაზის სექტორი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დეიურე ცნობილი არ არის როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ტერიტორია ამჟამად ისრაელის ოკუპაციის ქვეშაა. აშშ-ის მთავრობის კლასიფიკაციით ღაზის სექტორი არის „ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორია, რომლის სტატუსი დამოკიდებულია ისრაელ-პალესტინის ორმხრივ შეთანხმებაზე“. ისრაელის მთავრობა ამგვარი კლასიფიკაციის წინააღმდეგია, განსაკუთრებით 2005 წელს ისრაელის ცალმხრივი გამოსვლის გადაწყვეტილების შემდეგ.

ისრაელი აკონტროლებს ღაზის სექტორის საჰაერო სივრცეს და ოფშორულ სანაოსნო მოსასვლელს. თავად სექტორი პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის იურისდიქციის ქვეშაა, რომელიც ასევე აკონტროლებს სექტორის საზღვარს ეგვიპტესთან.

# ნანული ჩხაიძის ტკივილიანი მონატრება



ჩემო საყვარელო ნანული, უსასრულო ტკივილით, ცრემლითა და გამოუთქმელი მწუხარებით სრულდება 4 წელი – 1 იანვარს (ახალი წლის ღამე), რაც ზეციურში გადასახლდი და დამიტოვე მოუშუშებელი ტკივილი. ძნელია, სიტყვით გამოვხატო ის იმედგაცრუება და მწუხარება, რასაც მე განვიცდი, შენ ხომ ჩემთვის ერთადერთი და განუმეორებელი პიროვნება იყავი, ჩემთვის იყავი დაბადებული.

ნანული, სულ ჩემს გულში ხარ, რამდენი ხანიც არ უნდა ვიცოცხლო, ვერავინ და ვერაფერი ვერ დამავიწყებს შენს თავს. რაც დრო გადის, მით მეტად მენატრები. ჩვენ ხომ თითქმის ხუთი ათეული წელი სულ ერთად ვიყავით, გვიხაროდა გაზაფხულის მოსვლა, მივდიოდით ჩვენს მშობლიურ სოფელ აცანაში, ერთად ვშრომობდით, ყველაფერი გვიხაროდა. დღეს ეს ყველაფერი გაქრა. თურმე შენ ყოფილხარ ყველაფერი, ვერაფერს ვერ ვაკეთებ, მთელი დღეები ცრემლიანი თვალებით ვუყურებ შენს სურათს, დარდით ვიხრჩვები. რა ბედნიერი კაცი ვყოფილვარ, როცა ჩემ გვერდით იყავი. დღეს არაფერი არა ვარ, ფუჭია ჩემი ცხოვრება. ძნელი ყოფილა ისეთი ადამიანის დაკარგვა, როგორიც შენ იყავი ჩემთვის. უფალს ვეხვეწები, მომიყვანოს შენთან, რომ სამუდამოდ ერთად ვიყოთ – მე უშენოდ არ ვვარგივარ.

შვილები და შვილიშვილები სულ შენს ხსენებაში არიან. გულდაწყვეტილნი გიგონებენ ნათესავები, მეზობლები. შენ ხომ ყველას პატივისმცემელი იყავი, გამოირჩეოდი კაცთმოყვარეობით, სიკეთითა და უსაზღვრო მოთმინებით. იყავი შესანიშნავი მეუღლე, დედა, ბებია. ღირსეულად იცხოვრე, წახვედი და დატოვე სუფთა, შეუბღალავი სახელი, დიდი ტკივილი და სევდა.

ნანული, შენი უსაყვარლესი შვილიშვილი ნათია დაოჯახდა. შენ ხომ ჰპირდებოდი, შენს ქორწილში ვიცეკვებ, ბებიაო, მაგრამ არ დაგცალდა. დალოცე მანდედან, ჯანმრთელობა, გამრავლება და ყველაფერი კარგი უსურვე თავისი ოჯახით.

მენატრები, ჩემო ნანული. მარად შენი სულისთვის ვილოცებ, შენს საფლავს მოვეფერები და ცრემლით გავათბობ ცივ მიწას. სანამ ცოცხალი ვიქნები, ყოველდღე ავანთებ სანთელს.

ღვთიური მადლი ეფინოს შენს ადგილსამყოფელს!

*შენი ოთარი, შვილები და შვილიშვილები*

# TV პროგრამა

**პარასკევი 28 დეკემბერი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.00 „მოამბე„ 10.30 „დილის საუბარი„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ (პ/ე) 15.00 ტ/სერ.„ „სპირალი„17.00 დ/ფ. „ექსტრაორდინარული ქალები„ 18.00 „გენდერი და საზოგადოება„ 19.05 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი„ 21.00 ტ/სერ. „სპირალი„22.00 მხ/ფ „ბზარი„ (ე. ჰოპკინსი) 23.30 „გააგრძელე საქართველოს ისტორია„00.00 „წითელი ზონა„ 01.00 მხ/ფ „პანი ნიკტ„ 03.20 მხ/ფ „პატარა ბავშვები„ (კ.უინსლეტი) 05.40 დოკ/ფ. „თავისუფალი ადამიანი: ანდრეი სახაროვი„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„11.00 დ/ფ „სიცოცხლე„ მე-9 ნაწ. 14.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ მე-11 ნაწ.16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ მე-8 ნაწ. 19.00 დ/ფ „ძვლების მკვლევარები„ მე-12 ნაწ.22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)01.00 მხ/ფ „კარნერა უდიდესი ჩემპიონი„ მე-2 სერ. (ტიტ.)

08.00 ან. ფ. „სამსონი და ნეონი„09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა09.15 ან.ფ. „სალადინი„ 3—4 სერ.10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„11.30 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 ფორტ ბოიარი13.00 სერ. „ჟინული„ 4—სერ.14.45 სერ. „თვალი არ მომაცილო„15.50 სერ. „მოჯადოებული„17.40 სერ. „მეწამული ცა„19.05 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ. „ტაქსი – 4„ (ს. ნასერი)00.00 იმედის ტალღა – 2 (გ/ჩ)01.45 მხ/ფ. „ლამაზი მერის ამბავი„ (ბ.სტილერი) 03.40 მხ/ფ. „კაპიტან ალატრისტეს ცხოვრება„ (ვ. მორტენსენი) (ტიტ.)06.00 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ.„ქალის მსხვერპლი„11.00 სერ. „იდუმალი ქალი„12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 სხვა ამბები13.00 „შუა დღე„15.30 პროფილი (გ/ჩ)18.45 სერ.„მგზნებარე გული„19.50, 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია„21.50 ეროვნული ლატარეა 2.00 ვანოს შოუ 23.00 სერ. „მომავლის გაელვება„00.00 პოკერის ტურნირი01.00 მხ/ფ.03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.45 მხ/ფ „ხაფანგი„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 პერსპექტივა 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ცარიელი ბინა„ 13.30 კონცერტი -ანს. „რუსთავი„ 15.05 განთიადის სტუმარი 16.00 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 16.25 დეკორატიული ფლორა 16.40 მხ/ფ „ბეღურების გადაფრენა„ 17.40 ნიამორი 17.50 დებიუტი 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „სამანიშვილის დედინაცვალი„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.30 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.15 ირაო

**მაესტრო** 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 00.00, 02.35, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 18.40, 05.30, 06.35 უცხოეთის ამბები. 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის „დილა„. 11.30, 22.00, 02.15 ყოველდღიური ამბები. 14.05 მაესტროს პრესკლუბი. 17.10, 04.50 თოქ-შოუ „პირდაპირი საუბარი„. 19.05, 00.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„. 19.30, 00.55 თოქ-შოუ „კვირის არგუმენტები„. 22.20, 03.10 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**28 დეკემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6566
ევრო — 2,1842
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6870
რუსული რუბლი — 5,3463

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით —2-5, ღამით — -5 -2.
დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 7-13, ღამით — 5-6.
სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 6-8, ღამით — -5 -7.




ეროვნული ბიბლიოთეკა


# წიგნი 1 ლარად
# 26 დეკემბრიდან
# თავდასხმა სტალინზე
# „ახალ თაობასთან“ ერთად







# მალე!
# „ახალ თაობასთან“ ერთად
# ილია II
# ოქროს ხანა
სამტომეული

# მალე! მალე! მალე!
# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები


## რა ღირს ქოთანი შროშაში

მომსახურების სფეროზე გათვლილი ეკონომიკური ალორძინების პერსპექტივა თავზე ჩამოგვემხო.

ახლა სოფლის მეურნეობა გამოდგა მილიონით თუ ოთხი მილიონით დასაფინანსებელი, რადგან ჩინეთმა ისწავლა ჭამა, თორემ ტურიზმი იყო მწვერვალი ოცნება – ალორძინებისა!

საქართველოს 330 კილომეტრიანი შავიზღვისპირა ზოლი შეგვიმცირეს, თორემ წარმოიდგინეთ ფსოუდან რამდენ ტურისტს მივტევდით ჩვენ ისტორიულ მეგობარ თურქეთამდე?

ადრე, ვიდრე ძალიან გამწარებულ ფასებს დაადებდნენ „კუშეტკებს“ დასავლეთ საქართველოს კერძო სასტუმროების მეპატრონეები,მეც ვბედავდი ჩემი მორიდე- გაგრძელება მე-7 გვერდზე



## კროსვორდი ა

შვეულად: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 2. გ.კილაძის მუსიკაზე ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით შექმნილი ქართული ბალეტი; 3. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 4. სააღდგომო ნამცხვარი; 5. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში; 7. ტროპიკებში გავრცელებული მახრჩობელა გველი; 11. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. გემთმშენებლობის ცენტრი უკრაინაში; 16. პიპინაშვილის საბავშვო მხატვრული ფილმი; 17. ნავსადგური იტალიაში; 18. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 20. შინაური ცხოველი; 22. ქართული ფული.

თარაზულად: 6. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 8. ნახევარკუნძული ევროპაში; 9. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალური მოძრაობის წევრი შუა აზიაში; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 12. სამხრეთამერიკული სირაქლემა; 13. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 14. ტკბილი წვენებით შეზავებული სპირტიანი სასმელების ნარევი; 19. ქართველი რაგბისტი; 21. მექსიკური არაყი; 23. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 24. სურნელოვანი პარფიუმერიული ფხვნილი; 25. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 26. ღია ლურჯი ფერი, ცის ეპითეტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## ასტროპროგნოზი
28 დეკემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – ფული გაქვთ, საყიდლებზე წასვლა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – სახლში დიდი სიხარული გელით. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, აქტიურობთ კიდეც. **ქალწული** – შეიცვალეთ იმიჯი, ეს სასიკეთოა. **მშვილდოსანი** – ზედმეტი აქტიურობა არ არის საჭირო, მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც გევალებათ. **ღრიანკალი** – გახარებული ხართ, პრობლემა მოგეხსნათ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – დიდ სიკეთეს აკეთებთ, ის დაგიბრუნდებათ. **მერწყული** – კითხვაზე პასუხს თქვენით იპოვით. **თევზები** – საქმე წინ მიდის, თქვენ გახარებული ხართ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჰოუქსი იგებს, ბრუკლინი — აგებს

„ატლანტა ჰოუქსი“ მოგებებს აგროვებს. ბოლო მე-12 მატჩიდან ჯორჯიელებმა მე-9 გამარჯვება მოიპოვეს. განსაკუთრებულად რთულად მოსაპოვებელი ბოლო გამარჯვება გახლდათ. ატლანტელებს 2 ოვერტაიმი დასჭირდათ, „დეტროიტის“ წინააღმდეგობა რომ გაეტეხათ. უდაძაბულესი მატჩი მასპინძელმა „ატლანტამ“ 126:119 მოიგო, რითაც აღმოსავლეთ კონფერენციაში მესამე ადგილი გაიმყარა.

ატლანტელებს ეს მატჩი ძირითად დროში უნდა მოეგოთ, მაგრამ გამოჩენილი უყურადღებობის გამო სამარცხვინო წაგებას გადაურჩნენ. დეშონ სტივენსონის სამქულიანის შემდეგ, მეოთხე პერიოდში, „ჰოუქსი“ 22 ქულით – 84:62 დაწინაურდა, თუმცა დარჩენილ დროში დეტროიტელებმა ამ ჩამორჩენის გაბათილება და დაწინაურებაც კი მოახერხეს. ოსტინ დეის სამქულიანის შემდეგ, საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე, „პისტონსი“ 101:100 გალიდერდა, მაგრამ ალ ჰორფორდმა საჯარიმოთი ანგარიში გაათანაბრა და პირველი დამატებითი დროც დაინიშნა.

დეტროიტელები არც ოვერტაიმში გატყდნენ და საქმე მეორე დამატებით დრომდე მივიდა, სადაც მასპინძლებმა წარმატებას მიაღწიეს, რაშიც ლომის წილი ჯოშ სმიტმა დაიდო. ატლანტელთა ფორვარდმა 31 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. რაც შეეხება ქართველ ცენტრს, ფაჩულია სათადარიგო იყო და თამაშმა 22 წუთს მოუწია. ზაზამ 2-დან 2 საჯარიმო და 3-დან 1 ორიანი ჩააგდო. 4 ქულასთან ერთად ფაჩულიას 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა ჰქონდა, ბურთი კი ერთხელ დაკარგა.




17 მოგებისა და 9 წაგების მქონე „ატლანტა“ აღმოსავლეთ კონფერენციის ცხრილის მესამე საფეხურზე მყარადაა. შემდეგი ჯახი „ქორებს“ 28 დეკემბერს კლივლენდში ექნებათ.

„ატლანტასგან“ განსხვავებით, წაგებები დაებედა თორნიკე შენგელიას „ბრუკლინს“. ნიუ იორკის გარეუბნელებმა მორიგი მარცხი მილუოკიში იწვნიეს. ქართველი ფორვარდი მაშინ შევიდა მოედანზე, როცა მატჩის შედეგი გადაწყვეტილი იყო. შენგელიამ შეხვედრის უკანასკნელი 1 წუთი ითამაშა, „ბრუკლინმა კი შეხვედრა 93:108 წააგო.

მ. ჟ.